დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

ზურაბ ბეჟაშვილი

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების როლი საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში

თბილისი

2013

UDC(უაკ)347.6
ბ-50

„ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების როლი საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში“ ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომია, რომელიც საავტორო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და აქტუალურ საკითხს ეხება.

საავტორო და მომიჯვნავე უფლებების დაცვა სულ უფრო აქტუალური ხდება საქართველოში, რაც ნაშრომს კიდევ უფრო საინტერესოდ აქცევს როგორც იურისტების, ისე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

ტექნიკური რედაქცია: დიმიტრი გეგენავა
მონიკა გაბუნია
თამარ ჭალიძე

ყდის დიზაინი: ზურაბ ბეჟაშვილი
დიმიტრი გეგენავა

საგამომცემლო
უზრუნველყოფა: დავით ბატონიშვილის სამართლის
ინსტიტუტის გამომცემლობა

ნაშრომი გამოიცემა საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის დაფინანსებით.

© ზურაბ ბეჟაშვილი, 2013
© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2013

ISBN 978-9941-0-6126-4

შინაარსი

შესავალი..... 5

1. საავტორო ქონებრივი უფლებების დაცვის სისტემები.....9

1.1. საავტორო ქონებრივი უფლებების დაცვა ინდივიდუალურ საფუძველზე..... 10

1.2. საავტორო ქონებრივი უფლებების დაცვა კოლექტიურ საფუძველზე..... 12

1.2.1. საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციები 18

1.2.2. „გამავრცელებლები", როგორც საავტორო ქონებრივი უფლებების მმართველები 20

2. საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკა.....24

2.1. საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის რეგისტრაციის თავისებურებანი 28

2.2. საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრობა.....32

2.3. საქართველის საავტორო უფლებათა ასოციაცია.....39

2.3.1. საქმიანობის ზოგადი დახასიათება..... 40

2.3.2. საავტორო და მომიჯნავე უფლების დარღვევის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო მექანიზმები 42

3. მსგავსი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამართლებრივი ურთიერთობების სპეციფიკა.....48

3.1. საავტორო უფლებების სფეროში საერთაშორისო კოლექტიური მართვის ორგანიზაციები და მათი წევრობა 51

3.2. მსგავსი ტიპის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებს შორის დადებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ანალიზი 54

დასკვნა 57

გამოყენებული ლიტერატურა 60

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების როლი საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში

შესავალი

ინტელექტუალური საკუთრება საკუთრების ერთ-ერთი სახეა, რომელიც, მართალია, აბსოლუტური არაა, მაგრამ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა[1]. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია. „ყველა ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორს იგი წარმოადგენს"[2]. ამ უფლების დაცვის მექანიზმები „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონშია (შემდგომში „კანონი") მოცემული. იგი ერთმანეთისაგან საავტორო ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს განასხვავებს და პირველივე მუხლში განმარტავს, რომ ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს, რომლებიც მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისას და გამოყენებისას წარმოიშობა. სწორედ ეს უფლებები წარმოადგენენ საავტორო უფლებებს[3]. ნაშრომში არაქონებრივი უფლებები არ განიხილება, ყურადღება მხოლოდ საავტორო ქონებრივ უფლებებზე გამახვილდება.

ინტელექტუალურ საკუთრებაზე ქონებრივი უფლებები ნივთზე საკუთრების უფლებებთანაა გათანაბრებული. ამდენად, ქონებრივი საავტორო უფლებები განსაკუთრებული უფლებებია, რომელთაც

---

[1] საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[2] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 27.

[3] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტი.

აბსოლუტური ხასიათი აქვთ[4]. კანონის მე-18 მუხლში ნაწარმოების ავტორის ქონებრივი უფლებებია ჩამოთვლილი. მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება აქვს[5] (საავტორო უფლებით დაცული ობიექტის სხვადასხვა სახით გამოიყენოს, მის გამოყენებაზე ნება დართოს ან აკრძალოს[6]).

ტექნიკის განვითარებასთან ერთად, მას შემდეგ, რაც გაჩნდა რადიო, ფირფიტა, პატეფონი, მაგნიტოფონი, ვიდეოკასეტა, ჩაწერის დემონსტრირების ვიდეომოწყობილობა და ა.შ., საავტორო უფლების მფლობელს პრაქტიკულად მისი უფლებების დარღვევების გამოვლენა და შესაბამისი მოთხოვნების წაყენება აღარ ძალუძს. ამდენად, სპეციალიზებული ორგანიზაციების არსებობის საჭიროება, რომლებიც მართავენ ავტორთა, შემსრულებელთა, გამომცემელთა, დამამზადებელთა და საავტორო უფლების სხვა მფლობელთა ქონებრივ უფლებებს[7] და რომლებიც უშუალოდ მიმართულნი იქნებიან საავტორო უფლების დარღვევის ფაქტების აღმოჩენისაკენ, მათი პრევენციისა და შემდგომი რეაგირებისაკენ, ყოველდღიურად იზრდება. ამის მიზეზი კი საავტორო უფლების მფლობელთა ინტერესების დაცვის აუცილებლობაა. საავტორო სამართალი საავტორო უფლების მფლობელს საშუალებას ანიჭებს, მომხმარებელს უფრო მეტი თავისუფლება შეუქმნას[8], მისი უფლების ინტენსიური დარღვევის მიუხედავად. საავტორო უფლებით დაცული ობიექტების სხვადასხვა სახის მოსარგებლეების მიერ გამოყენების უამრავი ფაქტი ყოველდღიურად

---

[4] ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2006, 56.

[5] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი.

[6] იქვე მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

[7] ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2006, 105.

[8] iTunes, How Copyright, Contract, and Technology Shape the Business of Digital Media, A Case Study Part I: Contract-Copyright Interplay, Copyright, Berkman Publication Series No. 2004-07 June 2004, p 13.

ფიქსირდება. საავტორო უფლებით დაცული ობიექტის გამოყენებას შესაბამისი ნებართვა სჭირდება. პირების რაოდენობა, რომლებიც საავტორო უფლებით დაცულ ობიექტებს იყენებენ და სარგებლობენ (შემდგომში „მოსარგებლეები“) საკმაოდ დიდია[9]. თეორიულად საავტორო უფლების დაცვა და მისი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადება კარგია, მაგრამ საავტორო უფლების მფლობელს იმის საშუალება უნდა ჰქონდეს, რომ მის მფლობელობაში არსებულ საავტორო უფლებით დაცულ ობიექტზე ნებართვა კანონიერად გასცეს.[10] იმ ფონზე, რომ საავტორო უფლებების დაცვის კულტურა საქართველოში ჯერჯერობით განვითარებული არაა და მოსარგებლეთა უმეტესობა უფლების გარეშე ბრაკონიერულ პროდუქტს იყენებს, ავტორისათვის საკუთარი უფლების დაცვა ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ საავტორო უფლებების დაცვის სფეროში გადამწყვეტ როლს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციები (შემდგომში „კმო“) უნდა თამაშობდნენ. კმო-ს სტატუსს კანონი სპეციალური თავით აწესრიგებს[11]. სპეციალური მოწესრიგების გარდა, იგი კოლექტიური მართვის ორგანიზაციას ქონებრივი უფლებების განსაზღვრისას[12] სპეციალურ უფლებამოსილებებს ანიჭებს, რაზეც ნაშრომში საუბარი დეტალურად იქნება.

საკანონმდებლო მოწესრიგების მიუხედავად, 2008 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველო ინტერნეტსივრცეში ბრაკონიერული ქვეყნების სიას 95%-იანი მაჩვენებლით ლიდერობდა[13].

---

[9] იხ., <http://gca.ge/index.php?cid=69&lang=geo> [09.06.2011]

[10] iTunes, How Copyright, Contract, and Technology Shape the Business of Digital Media. A Case Study Part I: Contract-Copyright Interplay, Copyright, Berkman Publication Series No. 2004-07 June 2004, p 13.

[11] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის X თავი.

[12] იქვე, მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი.

[13] იხ., <http://global.bsa.org/globalpiracy2008/studies/globalpiracy2008.pdf> [01.06.2011]

მთელ მსოფლიოში საავტორო უფლებების დარღვევამ 2008 წელს მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს 9 მილიარდი დოლარის ოდენობის ზიანი მიაყენა[14]. ყოველივე ამის გამო, მნიშვნელოვანია პრობლემის ზუსტი გაანალიზება, მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა და გადაჭრის სამართლებრივი გზების განსაზღვრა.

კმო-ები ევროპული სახელმწიფოების უმეტესობასა და აშშ-ში საავტორო უფლების მფლობელთა უფლებების დაცვაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობენ. ერთი მხრივ, ეს კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი ცნობიერებისა და სამოქალაქო თვითშეგნების მაღალი დონის დამსახურება შეიძლება იყოს, მაგრამ, მეორე მხრივ, გადამწყვეტ როლს კანონმდებლობაში ისეთი ნორმების არსებობა თამაშობს, რომლებიც, თავის მხრივ, პრევენციულ ხასიათს ატარებენ. ასევე, დარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში იმპერატიულად უზრუნველყოფენ დამნაშავის დასჯას. ასეთი ნორმები ქართულ კანონმდებლობაში რეალურად არსებობს, თუმცა საქართველოში საავტორო უფლებების სფერო, ფაქტობრივად, მოუწესრიგებელია და საავტორო უფლების მფლობელები უფლებების დარღვევისაგან დაცულები არ არიან. კანონმდებლობა საავტორო უფლების დამრღვევი პირებისათვის ჯარიმას ითვალისწინებს. დარღვევის უამრავი ფაქტი ყოველდღე ხდება, მაგრამ რეალურად ამისთვის დაჯარიმებული პირი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ნაშრომის სათაური პირდაპირ პრობლემის აზრს ეხმიანება, აუცილებელია, საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში კმო-ს როლი განისაზღვროს და მისი ფუნქციების სისტემატიზაცია და სრულყოფა მოხდეს, რათა საქართველოში საავტორო უფლებების დაცვა გაუმჯობესდეს.

ნაშრომის პირველ თავში საავტორო ქონებრივი უფლებების დაცვის სისტემებზეა საუბარი, რათა განისაზღვროს, თუ რა საფუძვლით შეიძლება საავტორო უფლების დარღვევის ფაქტის წინააღმ-

---

[14] იქვე.

დეგ ბრძოლა. აღნიშნულ თავში უფლების დაცვის ორ სხვადასხვა – ინდივიდუალურ და კოლექტიურ საფუძვლებზე იქნება საუბარი.

მეორე თავში კმო-ს საქმინობის სპეციფიკაა გადმოცემული, რათა საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში მათი როლი თვალსაჩინო გახდეს, ასევე, სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განისაზღვროს, მათი საქმიანობის ესა თუ ის ნაწილი საავტორო უფლების დარღვევის ფაქტების აღმოფხვრას რამდენად უზრუნველყოფს.

მესამე თავში კი საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამართლებრივი ურთიერთობების სპეციფიკაა განხილული. საერთაშორისო ორგანიზაციები კმო-სათვის გადამწყვეტ როლს თამაშობენ. მათი წევრობა კმო-ებს უფლებას აძლევს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელშიც იგი რეგისტრირებულია ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ყველა უცხოური საავტორო უფლების მფლობელის ინტერესები დაიცვას და მათი სახელით საავტორო უფლებით დაცული ობიექტის გამოყენებისათვის საავტორო ჰონორარი მოითხოვოს. ყოველივე ეს კმო-ს განსაკუთრებულ როლს ანიჭებს.

1. საავტორო ქონებრივი უფლებების დაცვის სისტემები

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი განმარტავს, რომ საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც ობიექტური ფორმით არსებობს, ანუ საავტორო უფლებით დაცული ობიექტი რეალურად შექმნილია. მის ავტორს საავტორო უფლებები შექმნისთანავე წარმოეშვება. საავტორო უფლებით დაცული ობიექტის შექმნის მომენტიდანვე მისი გამოყენების შესაძლებლობა ჩნდება, ამიტომ მისი მფლობელის უფლებების დარღვევის საშიშროებაც იქმნება. იმისათვის, რომ საავტორო უფლების დარღვევის ფაქტი თავიდან იქნას აცილებული, სახელმწიფოში მისი დაცვის სამართლებრივი მექანიზმების არსებობაა აუცილებელი. საქართველოში საავტორო უფლების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა მექანიზმი არსებობს, რაზეც საუბარი დეტალურად იქნება. რაც შეეხება საავტორო

ქონებრივი უფლებების დაცვას, საქართველოში მისი დაცვის ორი გზა არსებობს: ინდივიდუალურ და კოლექტიურ საფუძველზე. თავის მხრივ, უპირატესობები და უარყოფითი მხარეები ორივე მათგანს აქვს.

საავტორო უფლებები ახალი თაობის უფლებებადაა წოდებული. მათ მიმართ ავტორებს, შემსრულებლებსა და სხვა საავტორო უფლების მფლობელებს საკმაოდ მნიშვნელოვანი მატერიალური ინტერესი აქვთ. აღნიშნული სფერო დღითიდღე მოთხოვნადი ხდება[15]. სწორედ ამითაა განპირობებული 21-ე საუკუნეში საავტორო უფლებებისადმი ინტერესის განსაკუთრებული ზრდა. საავტორო უფლებების დაცვის სისტემების განვითარებასთან ერთად საავტორო უფლების მფლობელთა საავტორო ჰონორარები იზრდება, რაც მატერიალურ სარგებელთან პირდაპირპროპორციულადაა დაკავშირებული.

1.1. საავტორო ქონებრივი უფლებების დაცვა ინდივიდუალურ საფუძველზე

ორგანიზაციას ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის უფლებამოსილება უშუალოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების მიერ ამ ორგანიზაციაში წევრობის შესახებ წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე ნებაყოფლობით გადაეცემა, ასევე, ანალოგიურ უცხოურ ორგანიზაციასთან ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების საფუძველზე.[16] შესაბამისად, ავტორს, მომიჯნავე უფლების მფლობელს, მათ მემკვიდრეებს, უფლებამონაცვლეებს, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელებს უფლება აქვთ, თავიანთი ქონებრივი უფლებები სამართავად ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ

---

[15] Roney A., European Community Facts Book, Third edition, London, 1993, 141.

[16] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ორგანიზაციას გადასცენ [17] ან საკუთარი უფლებები ინდივიდუალურად მართონ. პრაქტიკა აჩვენებს, რომ უფლებების ინდივიდუალურ საფუძველზე მართვა პრაქტიკულად არარეალურია. შეუძლებელია, ავტორმა მისი საავტორო უფლებით დაცული ობიექტის ყველა გამოყენებას მონიტორინგი გაუწიოს. მას არ შეუძლია რადიოსა თუ ტელევიზიის საეთერო ბადის ყოველდღიური გადამოწმება. ამასთან, მაგალითად, BBC-სათვის, რომელიც თავის ეთერში ყოველკვირა საშუალოდ 60 000 მუსიკალურ ნაწარმოებს ასრულებს[18], ყოველი ინდივიდუალური საავტორო უფლებით დაცული ობიექტის გამოყენებისათვის საავტორო უფლების მფლობელის მოძიება შეუძლებელია. მსგავსი ურთიერთობებისათვის კი საავტორო უფლების გასუფთავების საუკეთესო საშუალება სწორედ საავტორო უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციების მეშვეობით გასუფთავებაა[19].

მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა საავტორო უფლების მფლობელს უფლებას ანიჭებს, საკუთარი საავტორო უფლება ინდივიდუალურად მართოს. მნიშვნელოვანია, რომ, კანონის თანახმად, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, ყველა ნაწარმოები ან მომიჯნავე უფლების ობიექტი, რომელიც საჯაროდ სრულდება, გადაიცემა ეთერით, კაბელით ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი ხდება, აგრეთვე, ჩართულია გადაცემაში, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაში, შესაბამისი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის რეპერტუარში შედის. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოსარგებლეს ეკისრება.[20] კოლექტიური მართვის ორგანიზაცია ყველა საავტორო ქონებრივ უფლებას მართავს, თუ საავტორო უფლების მფლობელმა ამ უფლების აკრძალვის შესახებ კოლექტიური მართ-

---

[17] იქვე, 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[18] <http://www.cisac.org/CisacPortal/afficherArticles.do?numRubrique=41> [11.04.2011]

[19] <http://www.wipo.int/about-ip/en/about_collective_mngt.html> [01.04.2011]

[20] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ვის ორგანიზაციაში არ განაცხადა. ეს ფაქტი არ გულისხმობს იმას, რომ ავტორი საკუთარი საავტორო უფლების ინდივიდუალურად და დამოუკიდებლად მართვის უფლებას კარგავს, არამედ განისაზღვრება საავტორო უფლების მფლობელის უფლებამოსილება, რომ კოლექ-ტიური მართვის ოგრანიზაციას თავისი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვა/დაცვა აუკრძალოს. ასეთი აკრძალვის არარსე-ბობისას კოლექტიური მართვის ორგანიზაცია საავტორო უფლებების დაცვის სფეროში მხოლოდ მისთვის საავტორო უფლების მფლო-ბელთა მიერ ხელშეკრულებით გადაცემული საავტორო უფლებებით არ შემოიფარგლება.

მეცნიერთა ნაწილის აზრით, მართალია, საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვა მომხმარებელთა წრეს ზრდის, მაგრამ ავტორების შემოსავლის სინამდვილეს საეჭვოს ხდის.[21] თუმცა, მთლიანობაში ავტორის მიერ მიღებული სარგებელი უფრო დიდია, ვიდრე იმის რისკი, რომ მისი შემოსავლები შეიძლება გაიფლანგოს.

1.2. საავტორო ქონებრივი უფლებების დაცვა კოლექტიურ საფუძველზე

კოლექტიური მართვის ორგანიზაცია თავისი ბუნებით საუკეთესო ხიდია საავტორო უფლების მფლობელებსა და საავტორო უფლებით დაცული ობიექტების მოსარგებლეთა (შემდგომში – „მოსარგებლე“) შორის, რადგან ის საავტორო უფლების მფლობელისათვის მისი საავტორო უფლებით დაცული ობიექტის გამოყენების შედეგად საავტორო ჰონორარის შეგროვებასა და მათ შემდგომ განაწილებას

---

[21] Helfer L. R., Collective Management of Copyrights and Human Rights: An Uneasy Alliance Revisited, in Collective Management of Copyright And Related Rights, second edition, edited by Daniel Gervais, Kluwer Law International, The Netherlands, 2010, 81.

ყველაზე ეფექტურად უზრუნველყოფს.[22] თავისთავად, საავტორო ჰონორარების შეგროვება და მათი შემდგომში საავტორო უფლებების მფლობელებზე გადანაწილება გარკვეულ პროცედურებსა და წესებთანაა დაკავშირებული. მისი ადმინისტრირებისას უამრავი პრობლემა იქმნება, რომლის წარმოშობის საფუძველი, როგორც კანონმდებლობის მიერ საკითხის არასრული მოწესრიგება, ისე საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონეა. კმო-ების საქმიანობა ერთგვარ წრეს ქმნის, რომლის შედეგადაც ავტორის მიერ გაცემული უფლება ჰონორარის სახით მასვე უბრუნდება, კერძოდ, ავტორი ხელშეკრულების საფუძველზე კმო-ს საკუთარი საავტორო უფლების ობიექტის გამოყენებისათვის ჰონორარის შეგროვების უფლებამოსილებას გადასცემს,[23] რის საფუძველზეც კმო საავტორო უფლების ობეიქტის გამოყენებისათვის შესაბამის ლიცენზიას გასცემს, ლიცენზიის საფუძველზე დადგენილ ვადაში ჰონორარებს აგროვებს[24] და შემდგომ საავტორო უფლების მფლობელებზე ანაწილებს[25]. როგორც უკვე აღინიშნა, ერთგვარი წრე იკვრება, რომლის საბოლოო შედეგი საავტორო უფლებების დაცვის სისტემის გაუმჯობესებაა.

„კოლექტიური მართვა“ თავის თავში გარკვეული სამუშაოების ერთობლივ შესრულებას მოიცავს, რომლებსაც რეალურად „კოლექტიური“ სუბიექტური ასპექტები აქვს, მაგალითად, ტარიფების განსაზღვრა, ლიცენზიების გაფორმება, დისტრიბუციის წესები და ა.შ. ამისთვის კი აუცილებელია ორგანიზაციული მოწყობა, მმართველობის ნება და სახელზე ზრუნვა[26].

---

[22] <http://www.wipo.int/about-ip/en/about_collective_mngt.html> [09.06.2011]

[23] „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის“ წესდების 4.1.1 პუნქტი.

[24] იქვე, 4.1.3 და 4.1.4 პუნქტები.

[25] იქვე, 4.1.5 პუნქტი.

[26] Gervais D., Keynote: The Landscape of Collective Management Schemes, Columbia Journal of Law and Arts, 2011, №4, 423.

ევროკავშირის სამართალი რამდენიმე სახის ლიცენიზიას იცნობს, ესენია: „1. გენერალური ლიცენზია, როდესაც ლიცენზიის გამცემი ლიცენზიანტს გადასცემს ყველა უფლებას შეუზღუდავად; 2. განსაკუთრებული ლიცენზია, როდესაც ლიცენზიის გამცემი ლიცენზიანტს გადასცემს უფლებებს განსაკუთრებული ფორმით, და ამ ლიცენზიის მოქმედების ვადაში ლიცენზიის გამცემი ვეღარ გასცემს სხვა პირზე ანალოგიური შინაარსის ან მის შემცველ ლიცენზიას; 3. ექსკლუზიური ლიცენზია, როდესაც ლიცენზიის გამცემი ლიცენზიანტს უდებს დამატებით პირობას, რომ ლიცენზიანტი ვერ გასცემს ლიცენზიას ამ ლიცენზიის მოქმედების ვადებში. 4. ჩვეულებრივი ლიცენზია, როდესაც ლიცენზიის გამცემი გასცემს არა გენერალურ და არაექსკლუზიურ ლიცენზიას ლიცენზიატზე. ლიცენზიით იგი იტოვებს უფლებას, კვლავ გასცეს სხვა პირზე იმავე შინაარსის ლიცენზია და ამავდროულად, ლიცენზიანტს ნებას რთავს, იმოქმედოს ლიცენზიის პირობებიდან გამომდინარე და გამოიყენოს ლიცენზირებული საავტორო უფლებით დაცული ობიექტი.“[27]

საქართველოს კანონმდებლობა ლიცენზიის მხოლოდ ორ სახეს ითვალისწინებს – ჩვეულებრივს და განსაკუთრებულს: „ჩვეულებრივი ლიცენზიის დროს ავტორი ანიჭებს ლიცენზიანტს ნაწარმოების გამოყენების უფლებას სალიცენზიო ხელშეკრულებით განსაზღვრული სახით და ვადით. ამავე დროს, ავტორი ინარჩუნებს უფლებას გასცეს ასეთივე ლიცენზიები სხვა პირებზეც. განსაკუთრებული ლიცენზიის შემთხვევაში მხოლოდ ლიცენზიატი იღებს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები ხელშეკრულებით განსაზღვრული სახით და ვადით. ხოლო ავტორს/საავტორო უფლების მფლობელს აღარ შეუძლია გასცეს ახალი ლიცენზია სხვა პირებზე. ამასთან, ლიცენზიანტი უფლებამოსილი ხდება, ნება დართოს ან აუკრძალოს

---

[27] Roney A., European Community Facts Book, Third edition, London, 1993, 146.

ნებისმიერ პირს (მათ შორის თავად ავტორსაც) ნაწარმოების გამოყენება.“[28]

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი განსაკუთრებული ლიცენზიის არსს პირდაპირ განსაზღვრავს და ადგენს, რომ განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი განსაკუთრებულ უფლებას, რომ გამოიყენოს ნაწარმოები ხელშეკრულებით განსაზღვრული სახითა და ფარგლებში, მხოლოდ ლიცენზიატს აძლევს და მასვე ანიჭებს უფლებას, აკრძალოს ნაწარმოების ამგვარი გამოყენება სხვა პირთა, მათ შორის, ავტორის მიერ[29], ხოლო თუ ეს უფლება ხელშეკრულებით განსაზღვრული არაა, მაშინ ნაწარმოების სხვა პირთა მიერ გამოყენების აკრძალვის უფლება შეიძლება ავტორმა განახორციელოს[30]. აღსანიშნავია, რომ კმო-ებს ავტორის მიერ საავტორო უფლებით დაცული ობიექტი განსაკუთრებული ლიცენზიით არ გადაეცემათ, მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა კმო-სა და ავტორს ამ უფლების განხორციელებისაგან არ ზღუდავს. როგორც უკვე აღინიშნა, კმო-ს უფლება უბრალოდ სამართავად და არა გამოსაყენებლად ეძლევა, ანუ იმისათვის, რომ ავტორის სახელით ჰონორარები მოითხოვოს და ავტორებს შესაბამისი პროპორციით საავტორო ჰონორარი გადასცეს; ასევე, საავტორო უფლებით დაცული ობიექტით სარგებლობის ლიცენზიები გასცეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ავტორს ამით რაიმე უფლება ეზღუდება, პირიქით, ეს ყველაფერი ავტორის ინტერესებს ემსახურება. მსოფლიოს უმეტესი კმო-ები საკუთარ რეპერტუარს მიკუთნებული ნაწარმოებებისათვის ლიცენზიას ბლანკეტური ლი-

---

[28] საავტორო და მომიჯნავე უფლებები, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტის გამოცემა, 16.

[29] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[30] იქვე, მე-2 პუნქტი.

ცენზიის ფორმით შეუზღუდავად გასცემენ, ასეთი ლიცენზიები პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება.[31]

როგორც ითქვა, ვინაიდან კმო-ებს ავტორებისაგან უფლება განსაკუთრებული ლიცენზიით არ გადაეცემათ, არც კმო-ები არიან უფლებამოსილნი, მოსარგებლეებზე განსაკუთრებული ლიცენზიები გასცენ. კმო-ები ამისათვის ჩვეულებრივი ლიცენზიის ფორმას იყენებენ, რასაც „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლი აწესრიგებს, რომლის თანახმადაც, ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი ლიცენზიატს აძლევს უფლებას ნაწარმოები იმ პირთა თანაბრად გამოიყენოს, რომლებმაც ასეთი ნაწარმოების იმავე სახით გამოყენების უფლება მიიღეს. ანუ კმო-ები ყველა ტიპის მოსარგებლეებზე საკუთარ რეპერტუარში შემავალი ავტორების საავტორო უფლებით დაცული ობიექტების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით გამოყენების უფლებას გასცემენ. აღსანიშნავია, რომ საავტორო ხელშეკრულებით, ლიცენზიით ან სხვა ფორმით გაცემული უფლება ჩვეულებრივად ჩაითვლება, თუ ხელშეკრულებაში ან ლიცენზიაში სხვა დათქმა არაა[32]. აქედან გამომდინარე, თუ მხარეების სურვილია განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემა, აუცილებელია, ხელშეკრულებაში ეს პირდაპირ იყოს განსაზღვრული, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ჩვეულებრივ ლიცენზიად ჩაითვლება.

აუცილებელია სალიცენზიო ხელშეკრულების პირობების განხილვაც, რაც კმო-ების მოქმედების არეალის განსაზღვრას მნიშვნელოვნად დაეხმარება. „სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს გამოსაყენებელი ნაწარმოების ზუსტ აღწერას (სახელწო-

---

[31] Helfer L. R., Collective Management of Copyrights and Human Rights: An Uneasy Alliance Revisited, in Collective Management of Copyright And Related Rights, second edition, edited by Daniel Gervais, Kluwer Law International, The Netherlands, 2010, 100.

[32] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

დება, მოცულობა, ჟანრი) ნაწარმოების გამოყენების კონკრეტულ სახეს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და ტერიტორიას, ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის წესსა და ჰონორარის ოდენობას ნაწარმოების გამოყენების ყოველი სახისათვის, მისი გადახდის წესსა და ვადას."[33] ხოლო თუ ხელშეკრულებაში საავტორო უფლებით დაცული ობიექტის რაიმე სახით გამოყენების უფლება პირდაპირ გათვალისწინებული არაა, ასეთი უფლება საავტორო უფლების მფლობელს რჩება.[34]

საინტერესოა, როდესაც სალიცენზიო ხელშეკრულებაში მისი მოქმედების ვადა გათვალისწინებული არაა, ავტორი ხელშეკრულების ნებისმიერ დროს გააუქმების უფლებით არ სარგებლობს. კანონი მას 3 წლიან ვადას უწესებს, რომლის განმავლობაშიც ხელშეკურლების გაუქმება არ შეუძლია. გაუქმების შესახებ ავტორმა მხარეს მინიმუმ 6 თვით ადრე უნდა აცნობოს.[35]

სალიცენზიო ხელშეკრულებით, ასევე, შეიძლება ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების მესამე პირებისათვის გადაცემა განისაზღვროს, რის შესახებაც ხელშეკრულებაში პირდაპირი დათქმის გაკეთებაა აუცილებელი. სალიცენზიო ხელშეკრულება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს, თუ ამავე ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული.

კანონმდებლობით პირდაპირაა განსაზღვრული ხელშეკრულების ფორმა, რომელიც ადგენს, რომ საავტორო უფლებების გადაცემის, ნაწარმოების შექმნისა და სალიცენზიო ხელშეკრულებები აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს.[36]

---

[33] იქვე, მე-40 მუხლის პირველი პუნქტი.
[34] იქვე, მე-2 პუნქტი.
[35] იქვე, მე-3 პუქნტი.
[36] იქვე, 42-ე მუხლი.

1.2.1. საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციები

„საავტორო უფლებების არსებობა ღირებულებას დაკარგავდა რომ არა კოლექტიური მართვის ორგანიზაციები. 1986 წელს, WIPO-ს (World Intellectual Property Organization) გენერალურმა დირექტორმა, დოქტორმა არპად ბოშმა აღნიშნა, რომ ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვა ამ უფლებების დასაცავად ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებად იქცა[37].

ყველა კმო-ს დეტალურად მიმოხილვა ფაქტობრივად შეუძლებელია, ამიტომ მაგალითის სახით შეიძლება რამდენიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციაზე ყურადღების გამახვილება. კონტინენტურ ევროპას საავტორო უფლებების კოლექტიურად ადმინისტრირების მრავალწლოვანი ისტორია აქვს (პირველი ავტორთა კოლექტიური მართვის საზოგადოება 1777 წელს დაარსდა საფრანგეთში – Société des auteurs et compostiteurs dranatiques – SACD).[38] მე-20 საუკუნის დასაწყისში მსგავსი ტიპის ორგანიზაციები ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში დაფუძნდა.[39] 1926 წელს ევროპის შემსრულებელთა უფლებების დაცვის თვრამეტმა სახელმწიფომ „ავტორთა და კომპოზიტორთა საერთაშორისო კონფედერაცია“ (International Confederation of Authors and Composers – CISAC) დააარსა, ეს მოდელი 1936 წლამდე მოქმედებდა, სანამ მათ შემსრულებელთა უფლებების დაცვის უმეტესი საზოგადოებები არ

---

[37] Gillieron Ph., Performing Rights Societies And The Digital Environment, Bepress Legal Series, Paper 1436, 2006, 1.

[38] Wang J., Should China Adopt an Extended Licensing System to Facilitate Collective Copyright Administration: Preliminary Thoughts (July 1, 2010), European Intellectual Property Review, 2010, Vol. 32, No.6, 283-289.

[39] Ficsor M., Collective Administration of Copyright and Neighboring Rights, World Intellectual Property Organization, Geneva, 1990, 10.

შეიერთეს.[40] დღეს კი CISAC, რომელიც 109 სახელმწიფოს ფარავს.

დღეს შემსრულებელთა დაცვის ორგანიზაციებს ძალიან დიდი რესურსი აქვთ. ASCAP (The American Society of Composers, Authors and Publishers) აერთიანებს 400 000-ზე მეტ ამერიკელი კომპოზიტორს, ტექსტის ავტორს, მუსიკალურ გამავრცელებელსა და სხვა საავტორო უფლების მფლობელს. ამერიკელი საავტორო უფლების მფლობელების გარდა, ის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ასიათასობით საავტორო უფლების მფლობელს წარმოადგენს.[41] მსგავსი ტიპის ორგანიზაციები მისი წევრი კოლექტიური მართვის ორგანიზაციების წევრ ავტორებს აერთიანებენ. აღნიშნული ან მსგავსი ორგანიზაციის წევრობა და მათ შორის დადებული ურთიერთწარმოამდგენლობის ხელშეკრულება, წევრ კოლექტიური მართვის ორგანიზაციას უფლებამოსილებას ანიჭებს იმ ქვეყანაში, სადაც ის საქმიანობს, რომ საავტორო უფლებით დაცული ობიექტებით სარგებლობის უფლებაზე ლიცენზიები გასცეს, ანუ იმ უფლებებზე, რომლის საავტორო უფლების მფლობელიც შესაბამისი ხელშეკრულების მონაწილე ორგანიზაციის წევრია. საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე კი ივარაუდება, რომ ყველა ნაწარმოები ან მომიჯნავე უფლების ობიექტი, რომელიც საჯაროდ სრულდება, გადაიცემა ეთერით, კაბელით ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი ხდება, აგრეთვე, ჩართულია გადაცემაში, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაში, შესაბამისი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის რეპერტუარში შედის[42]. აქედან გამომდინარე, კოლექტიური მართვის ორგანიზაცია მთელი მსოფლიოს საავტორო უფლებების მფლობელების უფლებების დამცველია საპირისპიროს დამტკიცებამდე.

---

[40] Gillieron Ph., Performing Rights Societies And The Digital Environment, Bepress Legal Series, Paper 1436, 2006, 9.

[41] <http://www.ascap.com/about/> [22.05.2011]

[42] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1.2.2. „გამავრცელებლები“, როგორც საავტორო ქონებრივი უფლებების მმართველები

საავტორო უფლების მფლობელს შეუძლია უფლება დართოს ან აკრძალოს[43] იმ ნაწარმოების გამოყენება, რომელიც მისი საავტორო უფლებით დაცულ ობიექტს წარმოადგენს. საავტორო უფლების დაცვის სფეროში სხვადასხვა წესითა და პირობებით ყველა ტიპის საავტორო უფლების მქონე პირის უფლებების დაცვა ხორციელდება. მაგალითად, დრამატურგს შეუძლია მისი საავტორო უფლებით დაცული ობიექტის ყოველი გამოყენებისათვის ავტორის სპეციალური თანხმობა მოითხოვოს, მწერალს უფლება აქვს მისი საავტორო უფლებით დაცული ობიექტის გავრცელების შესახებ კონტრაქტი გამავრცელებელთან გააფორმოს, კომპოზიტორისა და შემსრულებლის თანხმობით მათი ერთობლივი ინტელექტუალური შრომის შედეგად ნაწარმეობის შესაბამის გამავრცელებელთან დისკზე ჩაწერა და მათი შემდგომი გავრცელება მოხდეს.[44] შესაბამისად, გამავრცელებლებს შეუძლიათ იმ საავტორო უფლების მფლობელის უფლებები დაიცვან, რომლებიც მათთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში არიან და ამ ხელშეკრულებით მათი საავტორო უფლებების გარკვეული ნაწილი (მაგ., მექანიკური უფლებები) სამართავად მას აქვს გადაცემული.

მოცემულ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია, რომ გამავრცელებლების თითქმის სრული უმრავლესობა კოლექტიური მართვის ორგანიზაციების წევრია. გამავრცელებლის კოლექტიური მართვის ორგანიზაციის წევრობა კი ავტომატურად კოლექტიური მართვის ორგანიზაციებისათვის ხელშემკვრელი ავტორების მიერ მისთვის გადაცემული უფლებების დაცვაზე უფლებამოსილების მინიჭებას გულისხ-

---

[43] იქვე, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

[44] <http://www.wipo.int/about-ip/en/about_collective_mngt.html> [26.05.2011]

მობს. ანუ გამავრეცლებელი თავის ავტორებითურთ კოლექტიური მართვის ორგანიზაციის წევრი ხდება. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველა უფლება, რომელიც გამავრცელებელს ჰქონდა, კოლექტიური მართვის ორგანიზაციაზე გადადის, არამედ გამავრცელებელი ყველა უფლებას იტოვებს, რაც მას ხელშეკრულებით გადაეცა, მაგრამ კოლექტიური მართვის ორგანიზაციის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებისა და რესურსების არარსებობის გამო საკუთარი უფლების დასაცავად ამ ორგანიზაციის წევრი ხდება. ამის შედეგად კი ის მისი წევრი საავტორო უფლების მფლობელის საავტორო უფლებით დაცული ობიექტის ნებისმიერი სახით გამოყენების შედეგად საავტორო ჰონორარებს იღებს.

გამავრცელებლებსა და ავტორს შორის დადებული ხეშეკრულების თანახმად, ავტორი და გამავრცელებელი თანხმდებიან, რომ გამავრცელებელი ავტორის ერთადერთი მუსიკალური გამომცემლობა იქნება და ამის გასახორციელებლად ავტორი გამავრცელებელს განსაკუთრებული ლიცენზიის ფორმით საავტორო ქონებრივ უფლებებს გადასცემს იმ მუსიკალურ ნაწარმოებებზე, რომლებიც დარეგისტრირდება ან უკვე დარეგისტრირებულია გამავრცელებელსა და/ან კმო-ში, გარდა ზოგიერთი ნაწარმოებისა, რომლის შესახებაც ავტორი წერილობით დათქმას აკეთებს.[45] მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ გამავრცელებლები ავტორს განსაკუთრებულ ლიცენზიას უფორმებენ, რაც, თავის მხრივ, ავტორს სერიოზულად ზღუდავს მისი უფლებების შემდგომი გამოყენებისაგან. ავტორმა გამავრცელებელს მისი საავტორო უფლებით დაცული ობეიქტების ჩამონათვალი რეპერტუარის სახით უნდა გადასცეს, რის სანაცვლოდაც მიღებული შემოსავლიდან გამავრცელებელი ავტორს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ჰონორარს უხდის და ამ მიზნით იგი:

---

[45] გამომცემლობა „ბრავო რეკორდსის“ წევრებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშის მე-2 თავის პირველი პუნქტი.

ა) როგორც დასაწყისში აღინიშნა, ავტორის მიერ გადაცემული რეპერტუარით გაწევრიანებულია კმო-ში და იცავს ავტორის უფლებებს;

ბ) ორგანიზაციულად და სამართლებრივად უზრუნველყოფს ავტორის შემოქმედებას, მათ შორის, იურიდიული კონსულტაციის გაწევით, ტრეინინგის ჩატარების თუ სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის გზით;

გ) ხელს უწყობს ავტორის მიერ გადაცემული რეპერტუარის რენტაბელურად რეალიზაციას და ამ მიზნით აქტიურად ურთიერთობს მოსარგებლეებთან;

დ) გადაცემულ რეპერტუარზე განსაზღვრავს ამ სარგებლობისათვის ჰონორარის ოდენობას და ახორციელებს შესაბამისი ჰონორარის შეგროვება-განაწილებას (გარდა საჯარო შესრულების, საჯარო გადაცემის, საჯარო ჩვენებისა და სხვა სპეციალურად განსაზღვრული ისეთი შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი ტარიფის დადგენასა და ჰონორარის შეგროვება-განაწილებას ახდენს კმო) იმ შემთხვევებში, როდესაც მოსარგებლეს სურს გადაცემული რეპერტუარის:

დ.ა) ნებისმიერ ფიზიკურ მატარებელზე (მათ შორის CD, DVD და სხვა) ჩაწერა და გამოცემა, ან უკვე განხორციელებული აქვს მითითებული მოქმედება;

დ.ბ) ელექტრონული გაყიდვების განხორციელება, ან უკვე განხორციელებული აქვს მითითებული მოქმედება;

დ.გ) ნოტების, ტექსტის, კარაოკეს დამზადება და გამოცემა, ან უკვე განხორციელებული აქვს მითითებული მოქმედება;

დ.ე) სინქრონიზაცია, ან უკვე განხორციელებული აქვს მითითებული მოქმედება;

დ.ვ) გადაკეთება-გადამუშავება, ან უკვე განხორციელებული აქვს მითითებული მოქმედება;

დ.ზ) კანონით გათვალისწინებული სხვა საავტორო საქმიანობა;

ე) ავტორთან შეთანხმებით განსაზღვრული ჰონორარების ოდენობის საფუძველზე ახდენს გადაცემული რეპერტუარის მოსარგებ-

ლეებისათვის შეთავაზებას, მოლაპარაკებას, მოსარგებლეებთან შესაბამის ხელშეკრულების გაფორმებას, ჰონორარის შეგროვებას და განაწილებას;

ვ) უზრუნველყოფს ავტორის პირადი მონაცემების, ბიოგრაფიის, შემოქმედების აღწერის, რეპერტუარის და სხვა მასალის გამომცემლობის ვებ-გვერდზე განთავსებას ავტორის მინი ვებ-გვერდების შექმნის გზით;

ზ) განახორციელებს გადაცემული რეპერტუარის შემსრულებლებისთვის, კინო და სარეკლამო სტუდიებისთვის და სხვა პოტენციური მოსარგებლეებისათვის შეთავაზებას და გამომცემლობის, როგორც მუსიკალური ბიზნეს კომპანიის საჭიროებისას გადაცემული რეპერტუარის რეალიზაციას;

თ) პერიოდულად მიაწოდებს მუსიკალური ინდუსტრიის სფეროში მიმდინარე პროცესებზე ავტორისათვის აქტუალურ ინფორმაციას;

ი) უზრუნველყოფს ავტორს მის რეპერტუარზე გამომცელობის, როგორც მუსიკალური ბიზნეს კომპანიის მრავალფეროვან მომსახურებებზე შეღავათიანი პირობებით:

კ) გადაცემული რეპერტუარის სარგებლობისას კანონის დარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში უგზავნის ოფიციალური გაფრთხილების წერილს მოსარგებლეს აღნიშნული კანონდარღვევის აღკვეთის და შესაბამისი ჰონორარის გადახდის წინადადებით.[46]

გამავრცელებლები უფლებამოსილნი არიან, ნება დართონ, აკრძალონ და აკონტროლონ მათი წევრების მიერ გადაცემული უფლებების ნებისმიერი სახით არალიცენზირებული გავრცელება.[47]

---

[46] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 პუნქტი.

[47] Abovyan A., Copyright in Armenia, Journal of the Copyright Society of the USA, Vol. 55, Number 4, 2008, 572.

2. საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკა

კოლექტიური მართვის ორგანიზაციები სახელმწიფო სტრუქტურული ერთეულები არ არიან, არამედ ისინი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კერძო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენენ. საქართველოს კანონმდებლობა კი კმო-სათვის პირდაპირ განსაზღვრავს მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. კერძოდ, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ კმო ნებაყოფლობით, უშუალოდ საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელების მიერ იქმნება[48], ანუ დაინტერესებული პირების მიერ. კანონი, ასევე, აკეთებს დათქმას, რომ იგი შემოქმედებითი კავშირი არაა და რომ თავისი ბუნებით დამოუკიდებელი, ფუნქციურად განსხვავებული ინსტიტუტია. „კმო-ები იქმნება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით“[49]. კმო წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რადგან მისი ფუნქციონირება წევრების გარეშე წარმოუდგენელია. იგი საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელებისაგან პირდაპირ და უშუალოდ იქმნება და მათსავე მიზანს ემსახურება – მათი სახელით შეაგროვოს საავტორო ჰონორარები და შემდგომ წევრებზე გაანაწილოს.

კმო-ები თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეულწილად, ყველასგან განსხვავებული სტრუქტურული ერთეულია, შესაბამისად, წევრებთან და მოსარგებლეებთან ურთიერთობაში სპეციფიკური დამოკიდებულება ახასიათებს. ამ სპეციფიკის გამო კანონმდებლობაში გარკვეული ტიპის ხარვეზები არსებობს, რაც კმო-ების პრაქტიკულმა საქმიანობამ წარმოშვა.

---

[48] „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის“ წესდების 1.1 პუნქტი.

[49] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

კოლექტიური მართვის ორგანიზაციები არაკომერციული, არამომგებიანი ორგანიზაციები არიან, რომლებიც კოლექტიური ადმინისტრირებისა და ეკონომიკური უფლებების სამართავად ფუძნდებიან.[50] კმო-ებს კულტურული და სოციალური ფუნქცია აქვთ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მათი ეკონომიკური ფუნქციაა.[51] თითქმის შეუძლებელია, ავტორი ხელოვანი და ამავდროულად, კარგი მენეჯერი და ფინანსისტი იყოს. შესაბამისად, სწორედ ამ ფუნქციების მატარებელნი არიან კმო-ები, რომლებიც ავტორს თანხის ადმინისტრირებაში უწყობენ ხელს. კმო-ები რომ არა, თავის მხრივ, ბევრი ავტორი და შემსრულებელი „დღის შუქს“ ვერ ნახავდა,[52] ანუ მათ, შემოქმედებითი პროცესის გაგრძელებასთან ერთად, უკვე განხორციელებული ქმედებებიდან ჰონორარების მიღება გაუჭირდებოდათ.

სომხეთის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტულად, კოლექტიური ადმინისტრირების საგანი/ობიექტი შეიძლება გახდეს: საჯარო შესრულების უფლება, საჯარო გადაცემა, აუდიო-ვიდეო რეპროდუქცია, მაუწყებლობა და ხელახალი გადაცემა, საკაბელო გადაცემის უფლება და ხელახალი ტრანსმისია.[53]

ამ შემთხვევაში სომხეთის მაგალითი მნიშვნელოვანია, რადგან იქ მოქმედი კმო, ისევე როგორც საქართველოში მოქმედი, უნიკალური და ერთადერთი მსგავსი ტიპის ორგანიზაციაა მის სამოქმედო ტერიტორიაზე, რომელიც ყველა ტიპის საავტორო უფლებას ერთდროულად იცავს.

---

[50] Abovyan A., Copyright in Armenia, Journal of the Copyright Society of the USA, Vol. 55, Number 4, 2008, 577.

[51] Hansen G., Schmidt-Bischoffshausen A., Economic functions of collecting societies – Collective Rights Management in the Light of Transaction Cost- and Information Economics, draft version, 18.10.2007, 2.

[52] Day B. R., Collective Management of Music Copyright in the Digital Age: the Online Clearinghouse, Texas Intellectual Property Law Journal, Vol. 18, Number 2, 2010, 211.

[53] Abovyan A., Copyright in Armenia, Journal of the Copyright Society of the USA, Vol. 55, Number 4, 2008, 578.

კმო-ები პირდაპირ ავტორების ან შესაბამისი უფლების მფლობელების მიერაა დაფუძნებული. ისინი ეკონომიკური უფლებების ადმინისტრირებას წერილობითი ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. ერთი და იმავე კატეგორიის უფლებების კოლექტიური ადმინისტრირება მხოლოდ ერთ კმო-ს უნდა მიენიჭოს. ანაზღაურების უფლება კოლექტიური ადმინისტრირების ფარგლებში შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) ანაზღაურება კომერციული მიზნებისთვის შექმნილი ფონოგრამის გავრცელების, ხელახალი გავრცელების, საკაბელო გადაცემის ან ხელახალი გადაცემის გამო;

ბ) ანაზღაურება კომერციული მიზნებისთვის შექმნილ ფონოგრამაში მოცემული ჩვენების გავრცელების, ხელახალი გავრცელების, საკაბელო გადაცემის ან ხელახალი გადაცემის გამო;

გ) ანაზღაურება ჩვენების ხელახალი გაყიდვის გამო;

დ) ანაზღაურება ქმნილების ორიგინალის ან ასლის გაქირავების აგრეთვე შესრულების ჩანაწერის ან აუდიო-ვიდეო ჩანაწერის კოპირების გამო;

ე) ანაზღაურება ქმნილების, ცოცხალი შესრულების ან ფონოგრამაში შენახული შესრულების (კომერციული მიზნით შექმნილის გარდა) გამოყენების გამო, აგრეთვე აუდიოვიზუალური ჩანაწერებისა და ფონოგრამის საკაბელო ხელახალი ტრანსმისიის გამო.[54]

საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა კონტრაქტის შესაბამისად, კმო-ები და მსგავსი უცხოური ორგანიზაციები მომხარებელს სალიცენზიო კონტრაქტის საფუძველზე ქმნილების და მომიჯნავე უფლებათა საგნის გამოყენების უფლებას, აგრეთვე მომხამრებელთა მიერ გადახდილი საფასურის კალკულაციისა და შეგროვების უფლებას ანიჭებენ. მსგავსი კატეგორიის ნებისმიერი მომხმარებლისთვის მოხმარების პირობებიც მსგავსია. ორგანიზაციას გონი-

---

[54] იქვე.

ვრული მიზეზის გარეშე არ შეუძლია მომხმარებელს ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი უთხრას.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ სომხეთის კანონის 64-ე მუხლის შესაბამისად, კმო შემდეგი უფლებამოსილებითაა აღჭურვილი:

„ა) მომხმარებლებთან გააფორმოს სალიცენზიო ხელშეკრულება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა საგნების მოხმარების შესახებ;

ბ) მომხმარებელს შეუთანხმდეს ანაზღაურების ოდენობასა და ხელშეკრულების სხვა პირობებზე;

გ) მომხმარებელს შეუთანხმდეს ანაზღაურების ოდენობაზე კანონით გათვალისწინებული იმ შემთხვევების დროს, როდესაც, კმო საფასურის აკრეფვას ხელშეკრულების გაფორმების გარეშე (მაგ. დაქირავება, ფონოგრამის გამოყენება კომერციული მიზნებისთვის) ახორციელებს;

დ) აკრიფოს საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული აღნიშნული გადასახადი და გაუნაწილოს იგი საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებს, რომლებსაც იგი წარმოადგენს;

ე) უფლების მფლობელის სურვილის შესაბამისად მოახდინოს საავტორო და მომიჯნავე უფლების საგნის დეპონირება და გამოსცეს შესაბამისი დოკუმენტი;

ვ) გააფორმოს ურთიერთდამცავი ხელშეკრულებები მსგავსი სახის საერთაშორიო ორგანიზაციებთან;

თ) შეგროვებული თანხიდან გაითვალისწინოს საკომისიო ოდენობა შეგროვების, დისტრიბუციისა და გადასახადების დაფარვისათვის;

ი) დაცული და დაუცველი საგნის/ქმნილების ერთდროული გამოყენების შემთხვევაში დაუცველი საგნის გამოყენების შესაბამისი ოდენობა გადარიცხოს მის მიერ დაფუძნებულ შესაბამის ფონდში, უფლების მფლობელთა თანხმობისა და სარგებლის შემთხვევაში;

კ) კანონით გათვალისწინებულ ვადაში საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელის ვერ აღმოჩენის შემთხვევაში მიღებული თან-

ხა გამოიყენოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სხვა მფლობელებისა და ორგანიზაციის სასარგებლოდ;

ლ) განახორციელოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელთა ნებართვით სხვა ფუნქციები;

მ) მოახდინოს უფლებათა რეალიზებისთვის საჭირო ნებისმიერი სამართლებრივი აქტის იმპლემენტაცია;

ნ) უფლების მფლობელთა სურვილის შემთხვევაში წარუდგინოს მათ შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში."[55]

კმო პასუხისმგებელია კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში, კოლექტიურ ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი კანონის მოწესრიგების მიღმა რჩება. შესაბამისად, აუცილებელია კონტროლის სისტემის უკეთ გამართვის მიზნით გარკვეული დამატებების შეტანა.

2.1. საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის რეგისტრაციის თავისებურებანი

საქართველოში ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძელზე მმართველი ერთადერთი ორგანიზაცია მოქმედებს – „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია".[56]

აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის დასახელებაა „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოცაცია", ხოლო „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძელზე მმართველი ორგანიზაცია" სტატუსია. ამ საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკაში გარკვეული გაუგებრობა შეიქმნა, როდესაც სტატუსისა და სახელის აღრევა მოხდა, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვ-

---

[55] „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ" სომხეთის კანონის 64-ე მუხლი.

[56] <https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=290346&app_id=333189> [15.05.2011]

ნულმა სააგენტომ სამეწარმეო რეესტრში დაარეგისტრირა იურიდიული პირი „საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოება ჩაკრულო – ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია“[57]. დაინტერესებულიმა პირმა აღნიშნული ქმედება იმის დასამტკიცებლად განახორციელა, რომ შეიძლებოდა არსებულიყო ანალოგიური ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძელზე მმართველი ორგანიზაციაც. თუმცა, როგორც აღინიშნა, დიდი განსხვავებაა სახელსა და სტატუსს შორის. სტატუსის მოპოვების საკითხი საქართველოს კანონმდებლობით დეტალურად წესრიგდება. სწორედ სტატუსი – „ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია“ ორგანიზაციის განსაკუთრებული ფუნქციებით აღჭურვის წინაპირობაა, რაც „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონითაა განსაზღვრული.

„საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას“[58] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციისა და ლიცენზიების დეპარტამენტის უფროსის 2006 წლის 17 თებერვლის №585 ბრძანების საფუძველზე კოლექტიური მართვის ორგანიზაციის სტატუსი აქვს მინიჭებული.[59]

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის სტატუსის მოპოვების საკითხი იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 17 თებერვლის №316 ბრძანებით წესრიგდება, რომლის მე-3[1] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის რეგისტრაციისათვის დამატებით კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქ-

---

[57] <https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=224631&app_id=256366> [15.05.2011]

[58] სტატუსი მინიჭებულია ააიპ „საქართველოს ავტორთა საზოგადოებისათვის“, რომელმაც 2011 წელს წესდებაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე შეიცვალა სახელწოდება და გახდა ააიპ „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია“.

[59] „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის“ წესდების 1.4 პუნქტი.

ტითა და 64-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო ურთიერთწარომადგენლობის ხელშეკრულებების წარმოდგენაა საჭირო, ასევე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ დადებითი დასკვნა[60]. საქპატენტს, თავის მხრივ, უფლება არა აქვს კანონის 63-ე მუხლის გვერდის ავლით დადებითი დასკვნა გასცეს, თუ ორგანიზაციას მსგავსი ტიპის ანალოგიურ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებები გაფორმებული არ აქვს. ანუ როგორც იუსტიციის სამინისტროში სტატუსის მოპოვების, ისე საქპატენტის დადებითი დასკვნის მოსაპოვებლად აუცილებელი წინაპირობაა ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკურლებების გაფორმება მსგავსი ტიპის კმო-ებთან. ხოლო იმისათვის, რომ მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან საერთაშორისო ხელშეკრულება გააფორმო, პრაქტიკამ აჩვენა, რომ აუცილებელია ამ სფეროში სულ მცირე ერთწლიანი საქმიანობის გამოცდილება.[61] ამ სფეროში საქმიანობა, ავტორებისა და შემსრულებლების ნდობის მოპოვება, ლიცენზიების გაფორმება, ჰონორარების შეკრება კი გამორიცხულია შესაბამისი სტატუსის გარეშე, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო ორგანიზაციას ანიჭებს. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კმო-ს სტატუსის მოპოვების მსურველი პირი, ფაქტობრივად, რეგისტრაციის გარეშე რჩება და ერთსა და იმავე წრეში ტრიალებს, რაც შეუძლებელს ხდის ბაზარზე ახალი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის გამოჩენას. ეს კი „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას“ მონოპოლიური საქმიანობის შესაძლებლობას აძლევს. სახელმწიფო კმო-ების საქმიანობაში აუცილებლად უნდა ერთვებოდეს და აკონ-

---

[60] იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 17 თებერვლის №316 ბრძანების მე-3[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

[61] Performance Right Society of Georgia – PRSG – საქართველოს ხელოვან შემსრულებელთა საზოგადოება, რომელმაც შეწყვიტა 2011 წელს ფუნქციონირება იმის გამო, რომ ვერ გააფორმა ურთიერთწარმოამდგენლობის ხელშეკრულებები მსგავსი ტიპის კმო-ებთან.

ტროლებდეს მას მაშინ, როცა კმო-ების მონოპოლიურად საქმიანობის ალბათობა არსებობს[62], მოცემულ შემთხვევაში კი პირიქით, კანონმდებლობა კმო-ს ასეთ სიტუაციაში ფაქტობრივად აყენებს. თავის მხრივ, ეს კანონმდებლობის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, რადგან, როდესაც ამა თუ იმ საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება ხდება, აუცილებელია, იგი რეალობას შეესაბამებოდეს და უბრალოდ სხვა ქვეყნის ნორმატიული აქტების „თარგმნილი ასლი" არ იყოს. ამ სფეროში შექმნილი მდგომარეობა, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს განვითარებისა და დაცვის კუთხით, ფაქტობრივად, დამოკიდებულია საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის, დღეს ამ სფეროში მოქმედი ერთადერთი კმო-ს, წარმატებით ფუნქციონირებაზე, რაც, თავის მხრივ, მას მნიშვნელოვან როლს ანიჭებს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „იმ ორგანიზაციის მიმართ, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ქონებრივ უფლებებს, არ გამოიყენება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები"[63]. ასევე, უნდა ითქვას, რომ ქვეყნებში, რომლებსაც ჰყავთ მცირერიცხოვანი მოსახლეობა, არაა რეკომენდირებული მრავალი კმო-ს ფუნქციონირება, რადგან ამ სფეროში კონკურენცია ბაზარზე იწვევს საავტორო უფლებით დაცული ობიექტების გამოყენებაზე სალიცენზიო ფასების ვარდნას, ფასების ვარდნა პირდაპირ აისახება ავტორთა ინტერესების კლებაზე, კმო-ებს გადასცენ საკუთარი ქონებრივი უფლებები სამართავად, ხოლო საავტორო უფლებების ინდივიდუალური მართვა, როგორც ნაშრომში აღინიშნა, ფაქტობრივად, 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიური განვიტარების ფონზე წარმოუდგენელია. საბოლოო ჯამში, ამ პროცესებმმა განვი-

---

[62] Helfer L. R., Collective Management of Copyrights and Human Rights: An Uneasy Alliance Revisited, in Collective Management of Copyright And Related Rights, second edition, edited by Daniel Gervais, Kluwer Law International, The Netherlands, 2010, 101.

[63] კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, 63-ე მუხლის მე-7 პუნქტი

თარებადი ქვეყნები შეიძლება მიიყვანოს საავტორო უფლების დაცვის სფეროში სრულ ქაოსამდე. ამიტომ, ერთი მხრივ, პოზიტიურ მოვლენადაც შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს კანონმდებლობაში არსებული მოწესრიგება ახალი კმო-ს რეგისტრაციის პროცედურების სირთულესთან დაკავშირებით.

როგორც 2005 წლის რეკომენდაციაში, ისე 2008 წლის CISAC-ის (International Confederation of Authors and Composers) გადაწყვეტილებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა „ონლაინ" მუსიკალური უფლებების ახალი მოწესრიგების წესების დანერგვას, რომელიც, ასევე, კომისიას ავალებდა მონიტორინგი გაეწია, როგორც ბაზრის განვითარებისთვის, ისე ახლად შექმნილი კოლექტიური მართვის ორგანიზაციებისათვის[64]. საქართველოში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, არამც თუ მონიტორინგი, არამედ რეალურად ახალი კმო-ების შექმნის შესაძლებლობაც კი არ არსებობს.

2.2. საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრობა

წლების განმავლობაში კმო-ების საკუთარ წევრებთან ურთიერთობა მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნეოდა. ამასთან დაკავშირებით ევროკომისიამ GEMA-ს (German Collective Management Organization) განუსაზღვრა[65]: 1. თვალყური ედევნებინა საავტორო უფლების განაწილებისათვის; 2. ყოველი შემოსავალი საჯარო გაეხადა და

---

[64] Mazziotti, Giuseppe, New Licensing Models for Online Music Services in the European Union: From Collective to Customized Management (April 1, 2011). Columbia Public Law Research Paper No. 11-269.

[65] Commission Decision 71/224/EEC of 2 June 1971 relating to a proceeding under Article 86 of the EEC Treaty (IV/26 760 - GEMA), O.J. L. 134/15 of 20 Jun. 1971 [GEMA I decision]. იხ. ციტირება: Guibault L., Gompel S. van, Collective Management in the European Union in Collective Management of Copyright And Related Rights, second edition, edited by Daniel Gervais, Kluwer Law International, The Netherlands, 2010, 135-167.

მისი წარმომავლობა განემარტა; 3. უცხოური საავტორო უფლებების მფლობელებთან ურთიერთობა მოეწესრიგებინა; 4. წევრებისათვის კმო-ებთან კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოში დავის უფლება მიეცა.[66] აღნიშნული პრაქტიკა დაიხვეწა და დღეს უკვე საავტორო უფლების მფლობელთა უმრავლესობა მთელს მსოფლიოში სწორედ კმო-ების წევრები არიან.

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის წევრი ნებისმიერი საავტორო უფლების მფლობელი შეიძლება გახდეს.[67] საავტორო უფლებების მფლობელი ავტორის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვიდრე შეიძლება იყოს. შესაბამისად, საზოგადოების წევრობის წინაპირობა მემკვიდრის შემთხვევაში მემკვიდრეობის მიღების შესახებ სანოტარო აქტი შეიძლება იყოს. კანონის თანახმად, საავტორო უფლება ნაწარმოების შექმნისთანავე წარმოიშობა და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ 70 წლის განმავლობაში.[68] საავტორო უფლების მფლობელისათვის კი შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი მოწმობაა საკმარისი. საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა[69]. მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან ლიტერატურული და ხელოვნების, ასევე, სხვა ჟანრის ნაწარმოებებზე საავტორო უფლების მფლობელთა მიერ შესრულებული ნაწარმოებები. შესაბამისად, სხვადასხვა კლასის ავტორებისადმი მიდგომა განსხვავებულია. შესაძლებელია ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივი ინტელექტუა-

---

[66] იქვე.

[67] Collective Management of Copyright And Related Rights, second edition, edited by Daniel Gervais, Kluwer Law International, The Netherlands, 2010, 7.

[68] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[69] იქვე, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

ლურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლებების დაცვაც (თანაავტორობა)[70]. აუდიოვიზუალური ნაწარმოების შემთხვევაში ავტორებად მიიჩნევიან დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისთვისაა სპეციალურად შექმნილი და სხვ.

როდესაც ავტორი საზოგადოების წევრი ხდება იგი საზოგადოებას მხოლოდ მის ქონებრივ უფლებებს გადასცემს და არა არაქონებრივ უფლებებს. რა არის ავტორის ქონებრივი უფლებები? ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც გულისხმობს მის უფლებას განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

1. *ნაწარმოების რეპროდუცირება*[71] – ნაწარმოების რეპროდუცირება შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს, მათ შორის გადაბეჭდვის ან ასლის გადაღების გზით, მაგნიტური ფირის გამოყენებით, ციფრული ფორმით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;

2. *ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით.*[72] თუმცა, ავტორის მიერ ან მისი ნებართვით კომერციული მიზნით ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების საქართველოში პირველი გაყიდვით ამოიწურება ნაწარმოების საქართველოს ფარგლებში შემდგომი გავრცელების უფლება;

3. *ნაწარმოების საჯარო ჩვენება*[73] (მაგ., ნახატის ან ფოტოს დემონსტრირება);

---

[70] იქვე, მე-11 მუხლი.
[71] იქვე, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
[72] იქვე, „ბ“ ქვეპუნქტი.
[73] იქვე, „დ“ ქვეპუნქტი.

4. *საჯარო შესრულება*[74] (მათ შორის, ნაწარმოების საზოგადოებისთვის უშუალოდ დეკლამაციის, სიმღერის, ცეკვის ან სხვა სახით (ცოცხალი შესრულება), ან ნებისმიერი მოწყობილობის მეშვეობით). ამასთან, საჯარო შესრულებას ადგილი არა აქვს მაშინ, თუ ის ხორციელდება ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეში;

5. *ნაწარმოების საჯარო გადაცემა*,[75] კერძოდ, გამოსახულების ან/და ხმის გადაცემა რადიო, ან ტელეეთერში, კაბელით ან იტერნეტით;

6. *თარგმნა*;[76]

7. *ნაწარმოების გადამუშავება*[77];

8. *ორიგინალის ან ასლის გაქირავება ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა.*[78]

კოლექტიური მართვის ორგანიზაციაში გაწევრიანება იწვევს ამ უფლებების საზოგადოებისათვის გადაცემას. გადაცემის მომენტიდან კი, როგორც ზემოთ დეტალურად იქნა განხილული, ავტორი არ კარგავს უფლებას, დამოუკიდებლად მართოს საკუთარი უფლებები, არამედ ორგანიზაცია იძენს უფლებას, ავტორის სახელით მოითხოვოს გარკვეული უფლებისათვის საავტორო ჰონორარი ან კომპენსაცია და ავტორის სახელით ლიცენზიები გასცეს. ასევე, კოლექტიური მართვის ორგანიზაციაში საავტორო უფლების მფლობელის გაწევრებისას საავტორო უფლების მფლობელის რეპერტუარის კოლექტიური მართვის ორგანიზაციისათვის გადაცემა ხდება, რაც ხელს უწყობს ნაწარმოების იდენტიფიცირებასა და ჰონორარების შეგროვების პროცესს. 2011 წელს „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციას“ ჰყავდა 519 წევრი ავტორი,[79] რომლებსაც

---

[74] იქვე, „ე“ ქვეპუქნტი.
[75] იქვე, „ვ“ ქვეპუნქტი.
[76] იქვე, „ზ“ ქვეპუნქტი.
[77] იქვე, „თ“ ქვეპუნქტი.
[78] იქვე, „ი“ ქვეპუნქტი.
[79] საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის 2011 წლის შემაჯამებელი ანგარიში, თბილისი, 2011, 13.

სრულად ჰქონდათ საკუთარი საავტორო ქონებირივი უფლებები კმო-სთვის სამართავად გადაცემული, ანუ კმო-ს ჰქონდა 519 ავტორის რეპერტუარი, რაც, თავისთავად, საავტორო უფლებების იდენტიფი-ცირებასა და დაცვას ამარტივებს. შესაბამისად, საავტორო უფლებე-ბის ეფექტური დაცვისათვის მნიშვნელოვანია საავტორო უფლებით დაცული ობიექტების კოლექტიური მართვის ორგანიზაციაში რეგი-სტრაცია. უარყოფითი მხარე კი ისაა, რომ „საავტორო უფლების მფლობელები იძულებულები არიან კოლექტიური მართვის ხელშე-კრულება გაუფორმონ მის ქვეყანაში მოქმედ კმო-ს რაც გარკვეულ-წილად მათ ზღუდავს არჩევანის თავისუფლებაში“[80]. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ უფლება, უბრალოდ არ გააფორმონ მსგავსი ტიპის ხელშეკრულება, დაინტერესების შემთხვევაში არჩევანის სა-შუალება არ გააჩნიათ და რეალურად არჩევანის თავისუფლებაში შეზღუდულები არიან.

კმო შეგროვებულ ჰონორარებს ავტორებზე ყოველწლიურად ანა-წილებს, რაც, ასევე, თავისი სპეციფიკით გამოირჩევა. როგორც უკვე აღინიშნა, კმო-ებს სხვადასხვა ტიპის მოსარგებლეებისათვის სხვადასხვა ტარიფები აქვთ დაწესებული, რის მიხედვითაც საავტო-რო ჰონორარების შეგროვება ხდება. „საავტორო და მომიჯნავე უფლების შესახებ“ კანონის 64-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველა მოსარგებლეს ევალება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანზიაციას მოთხოვნისთანავე წარუდგი-ნოს ყველა დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საავტორო და მომიჯ-ნავე უფლებების ობიექტის გამოყენების შესახებ ზუსტ ცნობებს, რაც აუცილებელია ჰონორარის შეგროვენისა და განაწილებისათ-

---

[80] Mazziotti, Giuseppe, New Licensing Models for Online Music Services in the European Union: From Collective to Customized Management (April 1, 2011). Columbia Public Law Research Paper No. 11-269

ვის.“[81] ეს ვალდებულება, ასევე, ჰონორარის გადახდის წონის, პირველადი ვალდებულებაა.[82] პროგრამაში დეტალურად უნდა იყოს აღნიშნული, თუ რომელი საავტორო უფლების მფლობელის რომელი საავტორო უფლებით დაცული ობიექტი რამდენჯერ შესრულდა. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე საავტორო უფლების მფლობელებთან გადასარიცხი თანხების პროპორციული დაანგარიშება ხდება, რის საფუძველზეც ყოველ ექვს თვეში ერთხელ[83] ავტორებზე საავტორო ჰონორარები გაიცემა.

საინტერესო ფაქტია, კმო-ს „წევრობა არის პირადი, ინდივიდუალური ხასიათის უფლება, რომელიც არ ექვემდებარება მემკვიდრეობით ან მინდობილობით გადაცემას“[84].

კმო-ს წევრები შეიძლება იყვნენ „საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა მფლობელები, ქმედუნარიანი ფიზიკური ან უფლებაუნარიანი იურიდიული პირები, ან მათი მემკვიდრეები/უფლებამონაცვლეები რომლებმაც განაცხადეს ასოციაციისათვის თავისი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის მიზნით გადაცემის თანხმობა, აღიარებენ ასოციაციის წესდებას, იზიარებენ მის მიზნებსა და ამოცანებს, აქვთ სურვილი და შესაძლებლობა ხელი შეუწყონ მათ განხორციელებას“[85].

საქართველოში მოქმედ კმო-ს აქვს წევრების კლასიფიკაცია, კერძოდ ჰყავს შემდეგი კატეგორიის წევრები:

„ნამდვილი წევრი – ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი, რომელიც კანონით დადგენილი წესით საავტორო და/ან მომიჯნავე

---

[81] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 15 იანვრის №ას-1199-1460 09 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ავტორთა საზოგადოება“ შპს „ბადაგის“ წინააღმდეგ.

[82] „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის“ მოსარგებლეებზე გაცემული ლიცენზიის სტანდარტული ფორმის 3.1 პუნქტი.

[83] „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციასა“ და ავტორს შორის დასადები ხელშეკრულების სტანდარტული ფორმის 8.3 პუნქტი.

[84] „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის“ წესდების 5.1 პუნქტი.

[85] იქვე, 5.2 პუნქტი.

უფლებებს ფლობს. ნამდვილ წევრს წევრთა საერთო კრებაზე აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება და სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. ნამდვილ წევრს ევალება დაწესებული საწევრო შენატანის (ასეთის არსებობის შემთვევაში) გადახდა."[86] ეს წევრის ის კატეგორიაა, რომელიც გავრცელებული და დამკვიდრებული პრაქტიკაა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

„საპატიო წევრი – წევრი, რომელიც დაინტერესებულია ასოციაციის მიზნების მიღწევით, აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება და დამსახურება საავტორო ან/და მომიჯნავე უფლებათა სფეროში. საპატიო წევრს წევრთა საერთო კრებაზე აქვს სათათბირო ხმის უფლება, მაგრამ არ მონაწილეობს კენჭისყრაში. საპატიო წევრი თავისუფლდება საწევრო შენატანის გადახდისგან."[87]

„კორპორაციული წევრი – ასოციაციის წევრი, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ პირს. კორპორაციული წევრი თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს წევრთა საერთო კრებაზე გამართულ კენჭისყრაში და აქვს ერთი ხმის უფლება. კორპორაციულ წევრს ევალება დაწესებული საწევრო შენატანის (ასეთის არსებობის შემთვევაში) გადახდა."[88]

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისეთი შემთხვევა, როდესაც ავტორი ან საავტორო უფლების მფლობელი განცხადების საფუძველზე მოითხოვს, რომ კმო-მ მისი უფლებები არ დაიცვას. ასეთ დროს მოსარგებლეებს არანაირი პირობა არ ეცვლებათ, კერძოდ, არც ჰონორარის ოდენობა და არც პროგრამის მოწოდების ვალდებულება, არამედ კონკრეტული მოსარგებლიდან შემოსული თანხა, იმ საავტორო უფლების მფლობელის გამოკლებით, რომელმაც დაწერა მსგავსი ტიპის განცხადება, გადანაწილდება სხვა საავტორო უფლების მფლობელებზე.

---

[86] იქვე, 5.5.1 პუნქტი.
[87] იქვე, 5.5.2 პუნქტი.
[88] იქვე, 5.5.3 პუნქტი

2.3. საქართველის საავტორო უფლებათა ასოციაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე, „საქართველოს ავტორთა საზოგადოება“ შპს „ბადაგის“ წინააღმდეგ[89] სასამართლომ დაადგინა: „საავტორო და მომიჯნავე უფლების შესახებ კანონის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 17 თებერვლის №585 გადაწყვეტილებით საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ გაიარა ხელახალი რეგისტრაცია და მიენიჭა სპეციალური სტატუსი - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია №1. იგი არის ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციის მუდმივი წევრი, გასცემს ლიცენზიებს მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულებაზე, რეპროდუცირებაზე, საჯარო გადაცემაზე, კაბელით გადაცემაზე და სხვა. ავტორთა საზოგადოება აგროვებს და ანაწილებს საავტორო ჰონორარებს შესაბამისი უფლების მფლობელებზე. ავტორთა საზოგადოებისაგან მიღებული ლიცენზიის საფუძველზე საქართველოში რამდენიმე ასეული მოსარგებლე თავის საქმიანობას ახორციელებს კანონის სრული დაცვით.“[90]

აქედან გამომდინარე, „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია“, როგორც საქართველოს ავტორთა საზოგადოების უფლება-

---

[89] „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის“ წესდების 1.4 პუნქტის თანახმად, „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია“ - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია არის ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 16 აგვისტოს №2/9-152 დადგენილებით რეგისტრირებული კავშირის – საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოების (GESAP) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 17 თებერვლის №585 გადაწყვეტილებით ხელახლა რეგისტრირებული კავშირის საქართველოს ავტორთა საზოგადოების (SAS) – ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია №1-ის უფლებამონაცვლე.

[90] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 15 იანვრის №ას-1199-1460 09 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ავტორთა საზოგადოება“ შპს „ბადაგის“ წინააღმდეგ.

მონაცვლე, თავის საქმიანობას კანონმდებლობის სრული დაცვით ახლორციელებს და მის მიერ გაცემული საავტორო უფლებით დაცული ობიექტით სარგებლობის ლიცენზიები სრულად მოდის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

2.3.1. საქმიანობის ზოგადი დახასიათება

ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას, როგორც აღინიშნა, სხვა ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთწარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულებები უნდა ჰქონდეს გაფორმებული. ხელშეკრულების მიზანი კი ისაა, რომ უცხოური ანალოგიური ორგანიზაციები მათ ტერიტორიაზე ქართველ საავტორო უფლებების მფლობელთა საავტორო უფლებებით დაცული ობიექტის გამოყენების შემთხვევაში ჰონორარს შეაგროვებენ და მას საქართველოს კოლექტიური მართვის ორგანიზაციას ურიცხავენ, რომელიც, თავის მხრივ, ქართველ საავტორო უფლებების მფლებელებზე შესაბამის ჰონორარებს ანაწილებს. აღნიშნული ხელშეკრულებების შესაბამისად, კოლექტიური მართვის ორგანიზაცია უფლებამოსილია მოსარგებლეების, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და სასამართლოს წინაშე საავტორო უფლებათა მფლობელების ინტერესები წარმოადგინოს. „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია", როგორც ითქვა, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირია[91], რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება, იგი მთლიანად თვითდაფინასნებაზეა. იმის გამო, რომ საავტორო უფლებების მფლობელებისა და ზოგადად საავტორო უფლებების დაცვას სჭირდება გარკვეული რაოდენობის თანამშრომლები და მატერიალური რესურსი, საქართველოშიც საერთაშორისოდ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად საავტორო უფლებათა

---

[91] „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის" წესდების 1.1 პუნქტი.

ასოციაცია აკრეფილი საავტორო ჰონორარებიდან ადმინისტრირებისათვის 10-დან 20%-მდე იტოვებს[92].

მოსარგებლეთა ერთ-ერთ კატეგორიას რესტორნები, ბარები, კაფეები, სასტუმროები და სასადილოები (შემდგომში „ჰორეკა“) მიეკუთვნება. ჰორეკას ტიპის მოსარგებლეები ყოველდღიურად დიდი რაოდენობით განსხვავებული საავტორო უფლებით დაცულ ობიექტებს იყენებენ, რომელთა აღრიცხვაც პრაქტიკულად შეუძლებელია. განსხვავებით რადიო სექტორისაგან, რომელთაც ე.წ. „საეთერო ბადე“ აქვთ[93], რომლის მიმდინარეობისასაც საავტორო უფლებით დაცული ობეიქტების გამოყენების ვინაობა, ოდენობა და სიხშირე ზუსტად არის აღრიცხული, რაც საავტორო ჰონორარების აკრეფის შემდეგ მათ დისტრიბუციას ამარტივებს. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ჰორეკას სექტორში, მსგავსი მოუწესრიგებელი და ქაოსური სიტუაციის გამო, იმ მიზნით, რომ ავტორთა უფლებების დარღვევა და მათი საავტორო უფლებით დაცული ობიექტების გამოყენების მიუხედავად, ჰონორარების მიუღებლობა არ მოხდეს, შემდეგ მეთოდს იყენებენ: ჰორეკას სეგმენტისაგან მიღებული საავტორო ჰონორარი რადიოების სეგმენტისაგან მიღებულ შემოსავალს ემატება და რადიოების საეთერო ბადის შესაბამისად ნაწილდება. გარკვეულწილად, ეს შეიძლება არასამართლიან მიდგომად ჩაითვალოს, რადგან შეუძლებელია ამ ორ სეგმენტში ერთი და იმავე საავტორო უფლებით დაცული ობიექტები თანაბარი დოზით იქნეს გამოყენებული. თუმცა, მეორე მხრივ, მსგავსი მეთოდის არარსებობა უბრალოდ ჰორეკას სეგმენტიდან აკრეფილი ჰონორარების გაუნაწილებლობას გამოიწვევდა, რადგან მათი რიცხვი ძალიან დიდია და თითოეული მათგანის მიერ მოწოდებული პროგრამის გაშიფვრასა და დისტრიბუციას ფიზიკურად არანაირი ადამიანური თუ მატერიალური რესურსი არ ეყოფოდა. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც,

---

[92] „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციასა“ და ავტორს შორის დასადები ხელშეკრულების სტანდარტული ფორმის 8.1.1 პუნქტი.
[93] მაგალითი იხ., <http://starfm.stargroup.ge/panels/dxis-bade> [29.05.2011]

რომ რეპერტუარს მოსარგებლეები ადგენენ[94] და შემდგომ კმო-ში აგზავნიან. პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოსარგებლეთა უმეტესობისგან ამ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა და რეპერტუარის მოწოდება არასრული ფორმით ან საერთოდ არ ხდებოდა. სწორედ აქედან გამომდინარე, ჰორეკას სექტორში ჰონორარების დღეს მოქმედი ფორმით განაწილება მაინც გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

2.3.2. საავტორო და მომიჯნავე უფლების დარღვევის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო მექანიზმები

საავტორო უფლების მფლობელს მისი უფლების აღიარების მოთხოვნა შეუძლია.[95] აღნიშნული უფლება, როგორც წესი, პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება, როდესაც სადავო უფლების საბოლოო განსაზღვრა, თუ ვინაა საავტორო უფლების მფლობელი საავტორო უფლებით დაცულ ობიექტზე, სასამართლოს მიერ ხდება. სწორედ ასეთ შემთხვევაში საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია უფლების დამრღვევს მისი უფლების აღიარება მოსთხოვოს. ასევე, საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია, მოითხოვოს უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც უფლებას არღვევს ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს[96]. საავტორო უფლების მფლობელის ყველაზე ანგარიშგასაწევი უფლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და ზიანის ანაზღაურების ნაცვლად, იმ შემოსავლის ჩამორთმევის უფლებაა, რომელიც დამრღვევმა მათი უფლებების

---

[94] „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციასა“ და მოსარგებლეს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების სტანდარტული ფორმის ნიმუშის 3.1 და 3.2 პუნქტები.

[95] „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[96] იქვე, „ბ“ ქვეპუნქტი.

დარღვევის შედეგად მიიღო[97]. საავტორო უფლების მფლობელს შეუძლია კომპენსაციის გადახდა მოითხოვოს, რომლის ოდენობაც დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგ ოდენობაზე ნაკლები არ უნდა იყოს. პრაქტიკის თანახმად, უმეტეს შემთხვევაში კმო-ები სასამართლოს წესით კომპენსაციას ათმაგი ოდენობით ითხოვენ.

რა შეიძლება ჩაითვალოს დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღებ ფულად ანაზღაურებად? აღნიშნულ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება კმო-ებს, მათ დადგენილი აქვთ კონკრეტული საავტორო უფლებით დაცული ობიექტის სარგებლობისათვის შესაბამისი ტარიფები მოსარგებლეთა კატეგორიების მიხედვით.[98] შესაბამისად, კმო კონკრეტული ტიპის მოსარგებლის მიერ საავტორო უფლებით დაცული ობიექტის გამოყენებისათვის საავტორო ჰონორარის ოდენობას დადგენილი ტარიფების მიხედვით ითვლის და სასამართლოს გზით კომპენსაციას მინიმუმ ათმაგი ოდენობით ითხოვს. ბოლო მსგავსი ფაქტი 2011 წელს დაფიქსირდა საქმეზე, „საქართველოს ავტორთა საზოგადოება“ პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წინააღმდეგ“[99], სადაც სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხეს გადაეხადა საავტორო უფლების დარღვევისათვის საავტორო ჰონორარის – 2000 ლარის ათმაგი ოდენობა – 20 000 ლარის ოდენობით, დააკმაყოფილა[100].

---

[97] იქვე, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

[98] „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის“ წესდების 7.14.9 პუნქტი.

[99] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 აპრილის №2ბ/15-11 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ავტორთა საზოგადოება“ პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს წინააღმდეგ“.

[100] იქვე.

გარდა ამისა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი[101] შემოსავლის მიღების მიზნით ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის უკანონო რეპროდუცირებისა ან ტექნიკური საშუალების გვერდის ავლით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მათი კონტრაფაქციული ასლების არამართლზომიერი შეძენისათვის, იმპორტის, შენახვის, გაყიდვის, გაქირავების ან სხვა უკანონო გზით გამოყენებისათვის ადმინისტრაციულ ჯარიმას 500-დან 3000 ლარამდე ოდენობით ითვალისწინებს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ნორმის არსებობის მიუხედავად, საქართველოში ჯერ არ მომხდარა ამ მუხლის საფუძველზე საავტორო უფლების დამრღვევი პირების დაჯარიმება[102], მით უმეტეს, რომ საქართველო ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზეა საავტორო უფლებების დარღვევის კუთხით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეს ნორმა ე.წ. „მკვდარი ნორმაა“. ვინ არის უფლებამოსილი დააჯრომის აღნიშნული ნორმის საფუძველზე საავტორო უფლების დამრღვევი? ამის უფლება დღეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე კმო-ს არ გააჩნია, არამედ პოლიციას, როგორც ადმიისტრაციულ ორგანოს. რეალურად, პოლიციას შესაბამისი ცოდნა არ აქვს, რომ გამოარკვიოს საავტორო უფლების დარღვევის ფაქტი, ხოლო ორგანოს, რომელიც კვალიფიციურია ამ საკითხში და რეალურად ახლორციელებს კიდეც ყოველდღიურად საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტის აღმოჩენას, მის წინააღმდეგ ბრძოლის რეალური ბერკეტი არ გააჩნია.

---

[101] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 157[1]-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[102] „საქართველოს ავტორთა საზოგადოების წარმომადგენელმა“ შპს „საადვოკატო კომპანია იმპერამ“ აღმოაჩინა საავტორო უფლების დარღვევის შესახებ 19 ფაქტი, რის შესახებაც 2011 წლის 11 აპრილს №148/14 წერილით ოფიციალურად მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტს“ რეაგირებისათვის, რასაც არანაირი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია სამართალდამცავი ორგანიების მიერ.

მნიშვნელოვანია, რომ საავტორო უფლების დარღვევისათვის თუ დამრღვევის წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დაჯარიმება მოხდება, ჯარიმა სახემწიფო ბიუჯეტში გადაიხდევინება, ხოლო თუ დარღვეული უფლების აღ-სადგენად კომპენსაციის მოთხოვნა მოხდება დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგი ოდენობისა და მასზე მეტი ოდენობით, ეს თანხები, ადმინისტრირების 20%-ის გამოკლებით, მთლიანად საავტორო უფლების მფლობელს გადაეცემა. შესაბამისად, საავტორო უფლების მფლობელთა ინტერესებშიც შედის საავტორო უფლების დამრღვევი პირის წინააღმდეგ ჯარიმის სანაცვლოდ მოთ-ხოვნილ იქნას კომპენსაცია. ერთი მხრივ, ესეც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებული ნორმის გამოუყენებლო-ბის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს.

მიუხედავად ამისა, კომპენსაციის მოთხოვნას, ადმინისტრაციულ ჯარიმასთან შედარებით, გარკვეული უარყოფითი მხარეები აქვს, კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აქტის გამოწერა დარღვევის ფაქტის აღმოჩენისთანავე ხდება და ნაკლებ პროცედუ-რებთანაა დაკავშირებული, კომპენსაციის მოთხოვნისაგან განსხვავე-ბით, როდესაც კომპენსაციის დაკისრება სასამართლოს მიერ ხორ-ციელდება, – ამისათვის კი მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვე-ბაა აუცილებელი[103]. მხარე კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება კოლექტიური მართვის ორგანიზაცია იყოს. მტკიცებულებების მოპო-ვების შემდეგ სასამართლოში განცხადების შეტანაა საჭირო, რო-მელიც, როგორც წესი, გარკვეულ ვადებთანაა დაკავშირებული. დროის ამ ფაქტორის მიუხედავად, მტკიცებულების არსებობის

---

[103] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონ-კრეტული ფაქტი და გარემოებები, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს მოთხოვნას და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.

შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეს შეუძლია სასამართლოში საქმის აღძვრამდე მტკიცებულებათა უზრუნველყოფა მოითხოვოს. აქედან გამომდინარე, დადგენილი პრაქტიკით ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტურია, რადგან სასამართლო პროცესის დამთავრებამდე მოპასუხეს დავის საგნის, საავტორო უფლებით დაცული ობიექტის გამოყენება და სარგებლობა ეკრძალება.

აღნიშნული მოწესრიგების გარდა, საქართველოს კანონმდებლობა საავტორო უფლებების გარკვეული ტიპის დარღვევასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც იცნობს. კერძოდ, „საავტორო უფლების ობიექტზე ავტორობის მითვისება ან თანაავტორობაზე იძულება ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე“[104]. განმეორების შემთხვევაში სასჯელი მძიმდება თავისუფლების შეზღუდვით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით[105].

ჰონგ-კონგში 2008 წელს მთავრობის მიერ კანონმდებლობის გამარტივების, „მეკობრული“ პროდუქციის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადებისა და მისი საწინააღმდეგო აქციების შედეგად ბაზარზე გაჩნდა 50 000-მდე ლეგალური პროდუქციის მომხმარებელი, რამაც საგრძნობლად გაზარდა ლეგალური პროგრამების ბრუნვის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში შესული გადასახადის ოდენობა.[106] ასევე, განსაკუთრებული ყურადღების საგანია საავტორო უფლებების სფეროში ინტერნეტმოწესრიგება. 2007 წლის დეკემბერში ჩეხეთის მთავრობამ საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვისათვის ბრძოლა პირად კონტროლზე აიყვანა, რამაც 2009 წელს შედეგი გამოიღო, როდესაც ბაზარზე გაჩნდა ლეგალური პროდუქციით მოსარგებლე მცირე თუ საშუალო ბიზნესის 17 000 წარმომადგენე-

---

[104] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[105] იქვე, მე-2 ნაწილი.
[106] <http://global.bsa.org/globalpiracy2008/studies/globalpiracy2008.pdf> [30.05.2011]

ლი.[107] იმისთვის, რომ ინტერნეტსივრცის სრული ლეგალიზაცია მოხდეს და საქმიანობის ლეგალური ფონი შეიქმნას, აუცილებელია, ყველა ქვეყანას სწორი სამართლებრივი მოწესრიგება ჰქონდეს[108]. ინტერნეტსამართალი კი ცალკე განხილვის თემაა, რაც დღეს საქართველოში საკმაოდ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

საქართველოს კანონმდებლობა, ასევე, აწესრიგებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევით ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის რეპროდიცურებას, ასლის უნებართვო შეძენას, იმპორტს, შენახვას, გაყიდვას, გაქირავებას ან საავტორო/მომიჯნავე უფლების მფლობელის უფლების სხვაგვარ ხელყოფას და მისი დარღვევისათვის დაწესებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე.[109] შესაბამისად, სახელმწიფოს დამოკიდებულება საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით ნათლად იკვეთება, თუმცა, როგორც საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, მხოლოდ კანონმდებლობის დონეზე მოწესრიგება ამ სფეროში წინსვლისათვის საკმარისი არაა, აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ყოველდღიურად და ამ საკითხის სახემწიფო მნიშვნელობის მქონედ აღიარება. აშშ „მეკობრული" ქვეყანა იყო, თეორიულადაც კი არავის წარმოედგინა, რომ ის საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში ასეთ სიმაღლეებს მიაღწევდა.[110] აღნიშნული შედეგის მიღწევა კი, როგორც აღინიშნა, სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ნების გარეშე, საკანონმდებლო მოწესრიგების მიუხედავად, ფაქტობრივად შეუძლებელია.

---

[107] იქვე.

[108] Ginsburg J. C., Copyright Use and Excuse on the Internet, Columbia - VLA Journal of Law & the Arts, Vol. 24, Columbia, 2000, 44.

[109] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[110] Solum L. B., The Future of Copyright, Book Review, Texas Law Review, Vol. 83, 2005, 1153.

3. მსგავსი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამართლებრივი ურთიერთობების სპეციფიკა

საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში კმო-ების როლის ზუსტად განსაზღვრისათვის, აუცილებელია, მსგავსი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციების, მათი უფლება-მოვალეობებისა და სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულების დამოუკიდებლად განხილვა, რადგან სწორედ მსგავსი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციები განაპირობებენ კმო-ების, როგორც ინსტიტუტის, წარმატებით ფუნქციონირებას. თავად კმო-ების საქმიანობის სპეციფიკა კი სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კონვენციებით განისაზღვრება.

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც საავტორო უფლებათა სფეროში კმო-ების ჩანასახი გახდა, 1710 წლის იანვარში მიღებული კანონი იყო, რომელიც ისტორიაში ცნობილია, როგორც დედოფალ ანას სტატუტი[111]. სტატუტის მიღების შემდეგ მის დახვეწაზე მუშაობა მუდმივად მიმდინარეობდა. 1878 წელს „ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწე პირთა საერთაშორისო ასოციაცია“ ჩამოყალიბდა, რომელმაც გამომცემლობების, როგორც საავტორო უფლებების, ანუ იმ დროისათვის ერთადერთი მმართველების მიმართ, გარკვეული ტიპის მოთხოვნა წამოაყენა და საკანონმდებლო მოწესრიგებასთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებების შეტანა მოითხოვა.[112] საავტორო უფლებათა სფეროში ამ ყველაფერმა ძალიან დიდი დისკუსია გამოიწვია, რომელიც საბოლოოდ, შვეიცარიაში გამართულ 1883 წლის 10 სექტემბერს ბერნის კონფერენციაზე იქნა აღიარებული. 1886 წლის 6 სექტემბერს დოკუმენტმა უკვე საბო-

---

111 <http://historyofcopyright.org/pb/wp_ff342f50/wp_ff342f50.html?0.9783139940736589> [03.06.2011]

112 <http://historyofcopyright.org/pb/wp_f12e0c69/wp_f12e0c69.html?0.829267222318826> [03.06.2011]

ლოო სახე მიიღო და ეს რედაქცია დღეს „ბერნის კონვენციის“ სახელითაა ცნობილი.[113] ბერნის კონვენცია ლიტურატურისა და ხელოვნების ნაშრომთა დაცვის საერთაშორისო კავშირის მექანიზმის შექმნაზე იყო ორიენტირებული. 1887 წლის 5 დეკემბერს იგი უკვე ავსტრალიამ აღიარა, შემდგომ კი აღიარების პროცესს ევროპისა და მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები შეუერთდნენ[114], აღიარება დაახლოებით 1904 წლამდე გრძელდებოდა. დღესდღეობით, ბერნის კონვენცია 160 წევრ ქვეყანას აერთიანებს. საინტერესო ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მისი წევრი ქვეყანა, მეოცე საუკუნის მიწურულს, 1989 წელს გახდა.

ჯერჯერობით შეუძლებელია, კმო-მ ფუნქციონირება მსგავსი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ხელშეკრულების გარეშე უზრუნველყოს, რადგან კმო ხელშემკვრელი ორგანიზაციის დაფარვის ზონის ტერიტორიაზე, თავის რეპერტუარში შემავალი ყველა საავტორო უფლების მქონე სუბიექტის ინტერესებს, სწორედ ასეთ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენს. შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, იგი საქართველოში მხოლოდ ქართველი ავტორების უფლებების დამცველი იქნებოდა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებასა და მოსარგებლეებს, ორგანიზაციის მიმართ ნდობას დააკარგვინებდა და ამასთან, მოსარგებლეებისათვის ლიცენზიების გაფორმებას გაართულებდა. დღეს, როცა საქართველოში მოქმედი კმო, საერთაშორისო ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების საფუძველზე, მსოფლიოს ყველა ქვეყნის საავტორო უფლების მფლობელს წარმოადგენს, გარკვეულწილად კმო-სადმი ნდობას ზრდის.

მსოფლიოს უმეტესი მსგავსი საერთაშორისო ტიპის ორგანიზაციები, კონკრეტული სფეროების მიხედვით მუშაობენ, კერძოდ, ან

---

113 იქვე.

114 ავსტრალია, ბელგია, კანადა, საფრანგეთი, გერმანია, ჰაიტი, ინდოეთი, იტალია, მონაკო, ახალი ზელანდია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, ტუნისი და გაერთიანებული სამეფო.

ავტორთა და კომპოზიტორთა საავტორო უფლებებს[115], მექანიკურ უფლებებს,[116] ან რეპროდუცირების უფლებებს იცავენ[117] (ამ ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე დეტალურად საუბარი ნაშრომის 3.1 თავში იქნება). საქართველოში მოქმედი ერთადერთი კმო, „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია" კი სამივე ამ უფლებას მოიცავს და დამატებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მომიჯნავე უფლებებსაც იცავს.[118] თავის მხრივ, ამას მისი მონოპოლიური საქმიანობის სპეციფიკაც განაპირობებს, რადგან საქართველოში დღეს საავტორო უფლებათა სფეროში ერთადერთი მოქმედი კმო-ა. ასევე, ამის მიზეზად შეიძლება ბაზრის სიმცირე, კერძოდ, საქართველოს მოსახლეობის რიცხვი ჩაითვალოს, რადგან ამ რაოდენობის მოსახლეობაში, სამივე ამ ფუნქციის განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ კმო-ს მიერ ფიზიკურად შესაძლებელია, განსხვავებით, მაგალითად, ამერიკისაგან, სადაც მსგავსი პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში, კერძოდ, ყველა ამ უფლებას, რომ ერთი კმო იცავდეს, შეუძლებელი იქნებოდა ამ დონეზე საავტორო უფლებები დაცული ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ამერიკის მაგალითი რომ ავიღოთ, საქართველოში მოქმედ კმო-ს ამერიკის ტერიტორიაზე სამი დამოუკიდებელი ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება აქვს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სხვადასხვა უფლებების დასაცავად გაფორმებული[119].

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 65-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ყველა ნაწარმოები ან მომიჯნავე უფლების ობიექტი, რომელიც საჯაროდ სრულდება, გადაიცემა ეთერით, კაბელით, ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად ხდება ხელ-

---

115 იხ., CISAC <http://www.cisac.org/>
116 იხ., BIEM <http://www.biem.org/>
117 იხ., IFRRO <http://www.ifrro.org/>
118 „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის" წესდების მე-3 თავი.
119 <http://gca.ge/index.php?cid=51&lang=geo> [07.06.2011]

მისაწვდომი, აგრეთვე, ჩართულია გადაცემაში, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაში, შედის შესაბამისი კმო-ს რეპერტუარში", შესაბამისად, საქართველოში მოქმედი კმო ყველა ავტორის უფლებებს იცავს და აგროვებს მათთვის ჰონორარებს საპირისპიროს დამტკიცებამდე. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო მსგავსი ტიპის ორგანიზაციაც, რომელსაც საქართველოში მოქმედ კმო-სთან ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება აქვს დადებული, თავის მოქმედების ზონაში ყველა ქართველ ავტორს თუ საავტორო უფლების მფლობელს წარმოადგენს და იცავს მათ უფლებებს.

3.1. საავტორო უფლებების სფეროში საერთაშორისო კოლექტიური მართვის ორგანიზაციები და მათი წევრობა

კმო-ების ფუნქციონირება და მათი მოქმედება გარკვეულ წესრიგსა და სტრუქტურას ეფუძნება, რომელიც კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონფედერაციების წესდებების საფუძველზეა შემუშავებული. არსებობს სხვადასხვა ტიპის ,,ქოლგა ორგანიზაციები",[120] რომლებიც საავტორო უფლების დაცვის სხვადასხვა სფეროებში მოქმედენ. არსებობს სამი ტიპის ორგანიზაცია, რომელთანაც საქართველოში მოქმედი კმო თანამშრომლობს. პირველი ტიპის ორგანიზაციები ავტორთა და კომპოზიტორთა საავტორო

---

[120] Umbrela Societies, ე.წ ქოლგა ორგანიზაციები, რომლებიც თავის თავში (ერთი ორგანიზაციის ქვეშ) აერთიანებენ სხვადასხვა ორგანიზაციასა და მათ წევრ ხელშემკვრელ ქვეყნებს, მაგალითად, British Music Rights არის ქოლგა ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს კომპოზიტორების, ტექსტის ავტორებისა და მუსიკალური გამავრცელებლების ინტერესებს. იგი დაფუძნდა 1996 წელს ბრიტანეთის კომპოზიტორთა და ტექსტის ავტორთა აკადემიის (British Academy of Composers & Songwriters), გამავრცელებელთა ასოციაციის (The Music Publishers Association (MPA), მექანიკური უფლებების დაცვის საზოგადოებისა (The Mechanical-Copyright Protection Society (MCPS) და შემსრულებელთა უფლებების დაცვის საზოგაოდბის მიერ (The Performing Right Society (PRS). <http://legalservicesindia.com/article/article/copyright-societies-417-1.html> [10.06.2011]

უფლებებს იცავენ, მეორე ტიპის ორგანიზაციები კი მექანიკურ უფ-ლებებს, ხოლო მესამე ტიპის ორგანიზაციები - რეპროდუცირების უფლებებს.

პირველი ტიპის ორგანიზაციების ყველაზე დიდი წარმომადგენე-ლია CISAC (International Confederation of Societies of Authors and Composers), რომლის სათავო ოფისი საფრანგეთში მდებარეობს, 232 წევრი სახელმწიფო[121] და 121 ქვეყნის წარმომადგენელი ჰყავს და რომელიც ავტორთა უფლებების დაცვის კუთხით მუშაობს.[122] CISAC-ის პარალელურად და მასთან კოორდინირებულად მექანიკუ-რი უფლებების სფეროში მეორე ტიპის ორგანიზაცია BIEM მუ-შაობს და ისიც საფრანგეთში მდებარეობს. ორივე მათგანი კმო-ების ერთიანი მოწესრიგებების ჩამოყალიბებას, ტრეინინგების უზრუნვე-ლყოფას, დამწყები ორგანიზაციების განვითარებას, ექსპერტების მივლინებას, ერთიანი ურთიერთწარმოამდგენლობითი ხელშეკრულე-ბების ნიმუშის შექმნას ემსახურება, მეორე მხრივ, კი ყოველი მისი წევრი ორგანიზაცია ანგარიშვალდებულია ამ ორგანიზაციების წი-ნაშე, რომელიც სიმბოლურ საწევროს იხდის და ანგარიშებს ყოვე-ლი წლის ბოლოს განხორციელებული სამუშაოს შესახებ აბარებს. მესამე ტიპის ფედერაციაა IFRRO (International Federation of Re-production Rights Organisations), რომელიც, ასევე, საერთაშორისო კანონმდებლობასთან კოორდინირებულად აყალიბებს ერთიან მოწე-სრიგებებს რეპროდუცირებისა და რეპროგრაფიების სფეროში[123].

ამ კონფედერაციებში გაერთიანებულ საზოგადოებებსა და თავად ქოლგა ორგანიზაციებს შორის, გარკვეული ორმხრივი ურთიერთ-ვალდებულებები არსებობს. კმო, როგორც აღინიშნა, თავის მხრივ, ვალდებულია წლიური ანგარიშები, თავისი წესდების შესაბამისად, შიდა მოწესრიგებები და ტარიფები, დისტრიბუციისა და ჰონორარე-

---

[121] <http://www.cisac.org/CisacPortal/afficherArticles.do?numRubrique=4>[11.06.2011]
[122] <http://www.cisac.org/CisacPortal/afficherArticles.do?menu=main&item=tab2&store=true> [11.06.2011]
[123] <http://www.ifrro.org/content/ifrro-mission-statement> [11.06.2011]

ბის განაწილების წესები, ფინანსური ანგარიში და მოთხოვნის საფუძველზე საქმიანობის ნებისმიერ სფეროსთან დაკავშირებით ანგარიში წარადგინოს. კონფედერაციები გარკვეულ ტრეინინგებს აფინანსებენ, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამა თუ იმ სფეროში მოღვაწე კმო-ების განვითარებისა და საქმიანობის სწორად წარმართვისათვის.[124] შესაბამისად, ადგილზე სიტუაციის შესწავლის მიზნით, უზრუნველყოფენ ექსპერტების მივლინებებს და იტოვებენ უფლებას, კონკრეტული კმო გარიცხონ კონფედერაციიდან, ან დაუსახონ გარკვეული გეგმა და პირობები, რომლებიც ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა შეასრულოს, რათა კონფედერაციის წევრი დარჩეს. წარმატებულ ორგანზიაციებს მეტი დაფინანსება აქვთ.

კმო-ების ინსტიტუტი საქართველოში არ გამოუგონიათ, ეს ცნება განმტკიცებულია ბერნის კონვენციით[125], რომელიც კოლექტიური მართვის ორგანიზაციებს განსაზღვრავს, როგორც საავტორო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანზიაციებს.

ავტორები და საავტორო უფლების მფლობელები უმეტეს ქვეყანაში ელოდებიან, რომ კმო-ებმა მათ უფრო მეტი უნდა გაუკეთონ, ვიდრე მათი საავტორო ქონებრივი უფლებების მართვაა[126]. მოთხოვნებთან ერთად ჩნდება ვალდებულებაც, რომელიც, როგორც წესი, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იდენტურია.

---

124 http://www.cisac.org/CisacPortal/afficherArticles.do?menu=main&item=tab2&store=true> [11.06.2011]

125 <http://sakpatenti.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=206> [12.06.2011]

126 Gervais D., Keynote: The Landscape of Collective Management Schemes, Columbia Journal of Law and Arts, 2011, №4, 423.

3.2. მსგავსი ტიპის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებს შორის დადებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ანალიზი

საქართველოში მოქმედ კმო-ს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო წარმომადგენლობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს "BROADCAST MUSIC, INC"-თან (შემდგომში BMI), რომლის თანახმადაც, საქართველოში მოქმედი კმო, ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოღვაწე უმეტესი საავტორო უფლების მფლობელს წარმოადგენს საქართველოში.[127] ხელშეკრულების თანახმად, GESAP[128]-ი BMI-ზე გასცემს და საპირისპიროდ კი BMI GESAP-ზე ჩვეულებრივ ლიცენზიას, თავის რეპერტუარში შემავალ ყველა ნაწარმოებზე, გარდა დრამატული ნაწარმოებების, მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოების მხატვრულ გაფორმებაში გამოყენების უფლებისა.[129] ხელშეკრულებაში პირდაპირაა განსაზღვრული, რომ GESAP-გადასცემს BMI-ს ყველა იმ უფლებას, რომელსაც იგი ფლობს, ან შემდგომში შეიძენს, რათა მოხდეს BMI-ს ტერიტორიაზე ნებისმიერი სახით საჯაროდ შესრულების ლიცენზიების გაცემა, მიუხედავად იმისა, ამჟამად ცნობილია თუ არა ან როდის შეიქმნება იგი. ხელშეკრულების თანახმად, GESAP-მა აიღო ვალდებულება, რომ ხელშეკურლების მოქმედების ვადაში იდენტური ან მსგავსი შინაარსის ხელშეკრულება BMI-ს ტერიტორიაზე

---

[127] BMI-სა და GESAP-ს შორის გაფორმებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების II თავის პირველი მუხლი.

[128] „საქართველოს ავტორთა და შემსრულებეთა საზოგადოება", რომელიც რეოგრანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბდა „საქართველოს ავტორთა საზოგადოებად", ხოლო 2011 წელს კი დაერქვა დღეს მოქმედი სახელი – „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია". იხ., „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის" წესდების 1.4 პუნქტი.

[129] BMI-სა და GESAP-ს შორის გაფორმებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულების II თავის მეორე მუხლი.

მოქმედ სხვა მსგავსი ტიპის ორგანიზაციასთან არ დადოს.[130] ხელ-შეკრულებით BMI-ს ასევე უფლება გასცეს ლიცენზიები GESAP-ს ნაწარმოებების შესრულების მიზნით მათი ნებისმიერი ნაწილის ან მთლიანი ნაწარმოების ადაპტირების ან არანჟირების ჩვეულებრივი (არაექსკლუზიური) უფლებით. ურთიერთწარმომადგენლობის ხელშე-კრულებას, რა თქმა უნდა, ერთადერთი მიზანი აქვს, საავტორო უფლების მფლობელებისათვის მატერიალური სარგებლის მიღება. შესაბამისად, ამ მიზნის მისაღწევად, მხარეები წლის განმავლობაში თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ხელშეკმკვრელი ორგანიზაციების წევრი ავტორების საავტორო უფლებით დაცული ობიექტების გა-მოყენების სიხშირესა და ინტენსივობას აღრიცხავენ, გამოიანგარიშე-ბენ შესაბამის ტარიფს და იღებენ ამ თანხის გადარიცხვის ვალდე-ბულებას. GESAP მინიმუმ წელიწადში ერთხელ აწვდის BMI-ს სიას ამოუცნობი ნაწარმოებების შესახებ, რომლებიც წინა წლის განმავლობაში გადაიცა რადიოთი, ტელევიზიით ან სხვა რაიმე სა-შუალებით. ასევე, უგზავნის გადასახდელი სალიცენზიო ჰონორარე-ბის ანარიცხების ოდენობას, რომელიც იდენტიფიცირებულია GE-SAP-ს მიერ და დახარისხებულია ჰონორარების მიმღები პირების რაოდენობრივი კლებადობის მიხედვით[131].

საქართველოში მოქმედ კმო-ის ერთ-ერთი სტრატეგიული პარტ-ნიორია ბრიტანეთის მსგავსი ტიპის ორგანიზაცია PRS[132], რომელ-თანაც არაექსკლუზიური ტიპის ხელშეკრულებაა გაფორმებული[133], რომლის თანახმადაც, საქართველოში დაცულია დიდ ბრიტანეთში დაცული ყველა საავტორო უფლების მფლობელის უფლებები და საქართველოში მოქმედმა კმო-მ შეიძინა უფლება, მათი სახელით

---

130 იქვე, II თავის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

131 იქვე, III თავის მე-4 მუხლი.

132 Performing Right Society, London.

133 Performing Rights Society-სა და საქართველოს ავტორთ საზოგადოებას (SAS) (რომლის სამართალმემკვიდრეა დღეს მოქმედი ააიპ „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია“) შორის გაფორმებული ურთიერთწარმოამდ-გენლობის ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი ნაწილი.

შეაგროვოს საავტორო ჰონორარები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ავტორებზე PRS-ის შუამავლობით გაანაწილოს.

ასევე, მნიშვნელოვანია BUMA-თან (ჰოლანდიის საავტორო უფლებათა ასოციაცია) გაფორმებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება, რომლითაც ჩრდილოეთ ევროპის უმეტესი ქეყნები იფარება.

საქმეზე, Music – Vertrieb Membran v GEMA (Cases 55-57180),[134] სადაც GEMA (German Copyright Management Society) ედავებოდა დიდ ბრიტანეთში მოღვაწე ორ ფირმას მუსიკალური ნაწარმოების შექმნასთან დაკავშირებით[135] სასამართლომ თქვა, რომ კოლექტიური მართვის ორგანიზაცია არაა უფლებამოსილი სიმღერის ჩაწერისათვის მოითხოვოს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მოღვაწე პირისაგან, როცა იმ სახელმწიფოში განსხვავებული ტარიფებია დადგენილი საავტორო უფლების გამოყენებისათვის და რეალურად სხვანაირი მოწესრიგებებია დაწესებული.[136] აქედან გამომდინარე, საქართველოში მოქმედი კმო უფლებამოსილია მოითხოვოს საავტორო ჰონორარები მოითხოვოს, საქართველოში დაფიქსირებული ყველა საავტორო უფლების გამოყენების ფაქტის შემთხვევაში.

საქართველოში მოქმედ კმო-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან, რომელიც 150-ზე მეტ ქვეყანასა და ტერიტორიას მოიცავს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და რომელიც სამ მილიონზე მეტ ავტორს ფარავს [137], რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მოქმედ კმო-ს შეუძლია გასცეს ლიცენზიები საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი უცხოური საავტორო უფლებით დაცული ობიექტის სარგებლობაზე (გარკვეული გა-

---

[134] Music –Vertrieb Membran v GEMA (Cases 55 - 57180) [1981] ECR 147; [1981] 2 CMLR 44, Court of Justice of the European Communities, იხ. ციტირება: Weatheril S., Cases and Materials on EC Law , 2nd Edition, 1994.

[135] Weatheril S., Cases and Materials on EC Law , 2nd Edition, 1994, 438.

[136] იქვე, 439.

[137] საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის 2011 წლის მოხსენებითი ანგარიში, თბილისი, 2011, 33.

მონაკლისებით, რაზეც ნაშრომში იყო საუბარი) შეაგროვოს ჰონორარები მათი სახელით და შემდგომ გაანაწილოს ისინი საავტორო უფლების მფლობელებზე. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ურთიერთწარმომადგნელობის ხელშეკრულებების სიმრავლე, კმო-ს როლს საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში ერთიორად ზრდის.

დასკვნა

ნაშრომში საუბარი იყო ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების როლზე სხვადასხვა მიმართულებებით საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში. თემის ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ 21-ე საუკუნის ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, ფაქტობრივად, შეუძლებელია საავტორო უფლების მფლობელის მიერ საკუთარი საავტორო უფლებების დაცვა ინდივიდუალურად, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის გარეშე. კმო-ები ერთადერთი ლეგიტიმური სამართლებრივი სუბიექტები არიან, რომლებსაც კანონმდებლობა უფლებას ანიჭებს, რომ საავტორო უფლების მფლობელების სახელით საავტორო ულებით დაცული ობიექტების სარგებლობის უფლება გასცეს, ამისთვის ჰონორარები შეაგროვოს და ისინი ავტორებზე გაანაწილოს. საავტორო უფლებების დაცვის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში, რადგან საავტორო უფლებების დაცვის პროცესის გაძლიერებასთან ერთად, გამორიცხულია მსგავსი ანალოგიური ორგანიზაციის შექმნა კანონმდებლობაში არსებული რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარვეზის გამო, შესაბამისად, დღეს მოქმედი ააიპ „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია“ ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება დაიცვას საავტორო უფლების მფლობელთა ინტერესები, გასცეს ლიცენზიები მოსარგებლეებზე, შეაგროვოს საავტორო ჰონორარები, მოახდინოს მათი შემდგომი განაწილება, წარმოადგინოს ავტორები მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის საზღვარგარეთ და სხვა. ერთი მხრივ,

აუცილებელია კანონმდებლობის დახვეწა და ახალი კმო-სათვის საქმიანობის ნებართვის მიცემის გამარტივება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სფეროში მონოპოლიური საქმიანობა ნებისმიერ დროს შეიძლება დამლუპველი აღმონჩდეს საავტორო უფლებათა სფეროსათვის. კონკრეტულად კი შეიძლება სრულუფლებიანი ლიცენზიის გაცემამდე, ახლადშექმნილმა კმო-მ ისარგებლოს დროებითი მოწმობით, რომლის საფუძველზეც მისი საქმიანობა ლეგიტიმური იქნება, ხოლო გამოცდილების დაგროვების შემდეგ, მას შემდეგ, რაც გააფორმებს საერთაშორისო ურთიერთწარმოამდგენლობის ხელშეკრულებებს მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან, მიეცეს სრული ნებართვა, რათა განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები. ხოლო, მეორე მხრივ კი, პოზიტიურად შეიძლება ჩაითვალოს მსგავსი მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობაში, რადგან საქართველოს მოსახლეობის სიმცირის გათვალისწინებით, კმოების სიმრავლემ და მათ შორის კონკურენციამ საავტორო უფლებებით დაცული ობიექტების სარგებლობაზე ლიცენზიის გაცემის ფასსა და ავტორთა შეოსავლების კლებადობაზე შეიძლება იქონიოს გავლენა.

დღეს კმო-ების როლი საავტორო უფლებების დაცვის სფეროში საკმაოდ დიდია, შეიძლება ითქვას, გარდამტეხიც კი, რადგან მათი არარსებობის შემთხვევაში, ამ სფეროში კონტროლის მექანიზმი, ფაქტობრივად, აღარ იარსებებდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველოში ისევ არის საავტორო უფლებების დარღვევის სერიოზული პრობლემა და ერთადერთი გამოსავალი, რითაც შეიძლება ეს ტენდენცია აღმოიფხვრას, შეიძლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 157[1] მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ამოქმედება იყოს, რომელიც დღემდე მკვდარი ნორმა იყო. თავის მხრივ, შეიძლება ამ მუხლით დაჯარიმების უფლება კმო-ს მიენიჭოს, რადგან იგი ერთადერთი კომპეტენტური ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია საავტორო უფლებათა დარღვევის ფაქტები გამოავლინოს. ეს ყოველივე გარკვეულწილად გაზრდის კმო-ების როლს საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში, მაგრამ, მეორე

მხრივ, კმო სახელმწიფო დაწესებულება არ არის და არც სახელმ-წიფოს სტრუქტული ერთეულია, იგი კერძო სამართლის იურიდი-ული პირია და შეუძლებელია სახელმწიფო ფუქნციების შეთავსება განახორციელოს. თან მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში მსგავსი ტიპის პრაქტიკა არ არსებობს. ამ საფუძვლით კი ლოგიკური იქნება, აღ-ნიშნული ფუნქციის საქპატენტისათვის მინიჭება, რომელიც კმო-ს მაკონტროლებელი ორგანოა და კმო მის წინაშეა ანგარიშვალდებუ-ლი. შესაბამისად, მათი კოორდინირებული მოქმედებით საქპატენტს საკმარისი რესურსი აქვს, რომ აღნიშნული ფუნქცია შეითავსოს და წარმატებით განახორციელოს იგი.

სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებმა აჩვენა, რომ კონკრეტულ ქვეყ-ნებში იქამდე არ გამოსწორდა საავტორო უფლებათა დაცვა, სანამ სახელმწიფომ პირად კონტროლზე არ აიყვანა აღნიშნული საკითხი და უშუალოდ არ გამოიჩინა ამ სფეროს სამართლებრივი მოწესრი-გების ინიციატივა. ამის ნათელი დასტური იყო, თუნდაც ჩეხეთის რესპუბლიკის მაგალითი. აქედან გამომდინარე, როგორც არ უნდა იფუქნციონიროს კმო-მ, თუ საავტორო უფლებათა დაცვის საკითხე-ბის მოწესრიგების სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობა არ არის, შეუძლებელია კონკრეტული შედეგის მიღება, ისეთის, როგორიც დღეს ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებშია. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი კი, როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, კანონმდებლობაში გათვალისწინებული სამართლებრივი მოწესრიგე-ბების ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური ამოქმედება და ამ ყვე-ლაფრისათვის სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხის სტატუსის მინიჭებაა.

გამოყენებული ლიტერატურა

სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
3. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი
4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
7. „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ სომხეთის კანონი
8. „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის“ წესდება
9. გამომცემლობა „ბრავო რექორდსის“ წევრებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში
10. იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 17 თებერვლის №316 ბრძანების მე-3[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.
11. „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის“ მოსარგებლეებზე გაცემული ლიცენზიის სტანდარტული ფორმა
12. „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციასა“ და ავტორს შორის დასადები ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა
13. BMI-სა და GESAP-ს შორის გაფორმებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება
14. Performing Rights Society-სა და საქართველოს ავტორთა საზოგადოებას (SAS) შორის გაფორმებული ურთიერთწარმოამდგენლობის ხელშეკრულება

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2006.
2. საავტორო და მომიჯნავე უფლებები, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტის გამოცემა

3. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის 2011 წლის შემაჯამებელი ანგარიში
4. iTunes, How Copyright, Contract, and Technology Shape the Business of Digital Media, A Case Study Part I: Contract-Copyright Interplay, Copyright, Berkman Publication Series No. 2004-07 June 2004, p 13.
5. Roney A., European Community Facts Book, Third edition, London, 1993, 141.
6. Helfer L. R., Collective Management of Copyrights and Human Rights: An Uneasy Alliance Revisited, in Collective Management of Copyright And Related Rights, second edition, edited by Daniel Gervais, Kluwer Law International, The Netherlands, 2010, 81.
7. Gervais D., Keynote: The Landscape of Collective Management Schemes, Columbia Journal of Law and Arts, 2011, #4, 423.
8. Gillieron Ph., Performing Rights Societies And The Digital Environment, Bepress Legal Series, Paper 1436, 2006, 1.
9. Wang J., Should China Adopt an Extended Licensing System to Facilitate Collective Copyright Administration: Preliminary Thoughts (July 1, 2010), European Intellectual Property Review, 2010, Vol. 32, No.6, 283-289.
10. Ficsor M., Collective Administration of Copyright and Neighboring Rights, World Intellectual Property Organization, Geneva, 1990, 10
11. Abovyan A., Copyright in Armenia, Journal of the Copyright Society of the USA, Vol. 55, Number 4, 2008, 572.
12. Hansen G., Schmidt-Bischoffshausen A., Economic functions of collecting societies – Collective Rights Management in the Light of Transaction Cost- and Information Economics, draft version, 18.10.2007, 2.
13. Day B. R., Collective Management of Music Copyright in the Digital Age: the Online Clearinghouse, Texas Intellectual Property Law Journal, Vol. 18, Number 2, 2010, 211.
14. Mazziotti, Giuseppe, New Licensing Models for Online Music Services in the European Union: From Collective to Customized Management (April 1, 2011). Columbia Public Law Research Paper No. 11-269.
15. Guibault L., Gompel S. van, Collective Management in the European Union in Collective Management of Copyright And Related

Rights, second edition, edited by Daniel Gervais, Kluwer Law International, The Netherlands, 2010, 135-167.
16. Solum L. B., The Future of Copyright, Book Review, Texas Law Review, Vol. 83, 2005, 1153.
17. Ginsburg J. C., Copyright Use and Excuse on the Internet, Columbia - VLA Journal of Law & the Arts, Vol. 24, Columbia, 2000, 44.
18. Weatheril S., Cases and Materials on EC Law, 2nd Edition, 1994

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 15 იანვრის №ას-1199-1460 09 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ავტორთა საზოგადოება“ შპს „ბადაგის“ წინააღმდეგ.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 აპრილის №2ბ/15-11 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ავტორთა საზოგადოება“ პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს წინააღმდეგ“.

ელექტრონული წყაროები

<http://gca.ge/index.php?cid=69&lang=geo> [09.06.2011]
<http://global.bsa.org/globalpiracy2008/studies/globalpiracy2008.pdf> [01.06.2011]
<http://www.cisac.org/CisacPortal/afficherArticles.do?numRubrique=41> [11.04.2011]
<http://www.wipo.int/about-ip/en/about_collective_mngt.html> [01.04.2011]
<http://www.wipo.int/about-ip/en/about_collective_mngt.html> [09.06.2011]
<http://www.ascap.com/about/> [22.05.2011]
<http://www.wipo.int/about-ip/en/about_collective_mngt.html> [26.05.2011]
<https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=290346&app_id=333189> [15.05.2011]
<https://enreg.reestri.gov.ge/main.php?c=mortgage&m=get_output_by_id&scandoc_id=224631&app_id=256366> [15.05.2011]

<http://starfm.stargroup.ge/panels/dxis-bade> [29.05.2011]
<http://global.bsa.org/globalpiracy2008/studies/globalpiracy2008.pdf> [30.05.2011]
<http://historyofcopyright.org/pb/wp_ff342f50/wp_ff342f50.html?0.9783139940736 589> [03.06.2011]
<http://historyofcopyright.org/pb/wp_f12e0c69/wp_f12e0c69.html?0.829267222318 826> [03.06.2011]
<http://www.cisac.org/>
<http://www.ifrro.org/>
<http://www.biem.org/>
<http://gca.ge/index.php?cid=51&lang=geo> [07.06.2011]
<http://legalservicesindia.com/article/article/copyright-societies-417-1.html> [10.06.2011]
<http://www.cisac.org/CisacPortal/afficherArticles.do?menu=main&item=tab2&store=true> [11.06.2011]
<http://www.cisac.org/CisacPortal/afficherArticles.do?numRubrique=4>[11.06.2011]
<http://www.ifrro.org/content/ifrro-mission-statement> [11.06.2011]
<http://sakpatenti.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=206> [12.06.2011]
http://www.cisac.org/CisacPortal/afficherArticles.do?menu=main&item=tab2&store =true> [11.06.2011]